# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 2010 წელი.

№168 (6534)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## არა, დედას არ „მოგიკლავ“...

ვის როგორ ესმის გადატრიალება და რატომ არ არის მრავალწერტილი მუდამ და ყველასთვის პანაცეა ②





## „ხუთოსანი ბიჭის“ მორჩენებანი ④

## „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე — ვენეციელი“... ②-④



## ისლამური ირანი — რეგიონული ზესახელმწიფო ⑥



## კონსტიტუციური ცვლილებების კრიტიკული ანალიზი ③



## საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაცია ⑧

## რეალობაა თუ ინფორმაციული სატყუარა?

შეხედულებები თურქეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან

## გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს!

# არა, დედას არ „მოგიკლავ“...

## ვის როგორ ესმის გადატრიალება და რატომ არ არის მრავალწერტილი მუდამ და ყველასთვის პანაცეა

**რატომ ჩავსვი სათაურად გამოტანილი სიტყვა ბრჭყალებში, ამას ბევრი, ალბათ, ისედაც მიხვდება, დანარჩენებს კი წერილის მიწურულს ავუხსნი. ამიტომაც სჯობს ახლა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.**

„მე ამისგან გავაკეთებ!“ – ხომ გახსოვს, მკითხველო, მართლაც კარგი ფილმის – „არაჩვეულებრივი გამოფენის“ – ფინალში აგული ერისთავის გახარებული მოწაფის ეს შეძახილი.

ჭაბუკი ბედნიერი იყო იმით, რომ მასწავლებელმა მას აჩუქა მარმარილოს უზარმაზარი ქვა, რომლისგანაც იგი, თავისი ღრმა რწმენით, საუცხოო რამეს გამოაქანდაკებდა, ისეთს, უთუოდ რომ მიიპყრობდა საყოველთაო ყურადღებას.

თავისთავად ცხადია, მაყურებელი მიხვდებოდა, რომ ამ შეძახილში იგულისხმებოდა მხოლოდ კარგის, ლამაზის, დახვეწილის გაკეთების სურვილი. მოკლედ ყველასათვის ყველანაირად მოსაწონი რამისა.

ეს იყო გასული საუკუნის შუახანებში.

ახლა ერთი თანამედროვე ახალგაზრდა რეჟისორის, შოთიკო კალანდაძის ნათქვამსაც გავეცნოთ:

**„მინდა, ისეთი თამამი სცენები გადავიღო, როგორიც აქამდე ჯერ არ გადაღებულა. ეს უნდა იყოს გადატრიალება ქართულ კინოში“.**

მკითხველი აქაც იოლად მიხვდება, რომ „თამამ სცენებში“ იგულისხმება არა კარგი, ლამაზი, დახვეწილი, ანუ ყველასათვის ყველანაირად მისაღებ-მოსაწონი რამ, როგორც ეს აგული ერისთავის მოწაფის შეძახილში იგრძნობოდა, არამედ ისეთი სცენები, რომელთა ფონზე თვით დედიშობილა შორენა ბეგაშვილის კინოროლიც კი საწოლში უმანკო ტიტლიკანა ბალღის კოტრიალად მოგვეჩვენება.

**ეს ნამდვილად იქნება გადატრიალება ქართულ კინოში, მაგრამ არა შემოქმედებითი წარმატების, არამედ ზნეობრივი დაკნინების თვალსაზრისით, ცხადია.**

**ბატონო შოთა** (დიახ, შოთა და არა – შოთიკო, რადგან შოთიკო, ქეთუსია, ნანკა, ნანუკა, ნინიკო თუ სხვა ამგვარი მოფერებითი მიმართვები პირად ურთიერთობაში შეიძლება გამოვიყენოთ და არა პრესა-ტელევიზიაში, როგორც ახლაა „მოდაში“ ჩვენთანძ), **თუ ასე არ არის, იქნებ აგვიხსნათ, სხვა რა იგულისხმება თქვენეულ „თამამ სცენებში?“**

**რატომ აპირებთ ახალგაზრდა კაცი წარმატების მოპოვებასა თუ ყურადღების მიპყრობას იოლი „თამამი სცენებით“ და არა თუნდაც რეჟისორული ოსტატობის დახვეწა-გამდიდრებით?**

გეცოდინებათ, სოფი ლორენის მონაწილეობით გადაღებულ ფილმებში არამცთუ „თამამ სცენებს“, თვით ყველაზე „ლაით“ სექსუალურ მომენტებსაც ვერ ნახავთ, მაგრამ ვერ არის ეს ჭეშმარიტი ხელოვანი ქალი მსოფლიო კინოს ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი, ის ფილმები და მათი რეჟისორები კი – საყოველთაოდ ცნობილ-აღიარებულნი?

ან იქნებ სჯობდეს, იმას ჩაუღრმავდეთ, როგორ მოახდინა გასული საუკუნის 50-იანი წლების ქართულ კინოში მართლაც გადატრიალება ორმა ახალგაზრდა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ და რეზო ჩხეიძემ „მაგდანას ლურჯათი“?

**თუმცა, ვგრძნობ, მგლის თავზე სახარების კითხვა სჯობს „თამამი სცენების“ მოყვარულ რეჟისორთან ამგვარ საუბარს.**

ამიტომაც მკითხველმა განსაჯოს. მერე კი, თუ ასეთი „სცენებიანი“ ფილმი ეკრანზეც გავა, ცხადია – მაყურებელმაც!

მე კი სხვა რამე მაინტერესებს: **რატომ გახდა ასე „მოდური“ თანამედროვე ახალგაზრდებში სახალხოდ ბილწსიტყვაობა? ვისი გავლენით თუ მიბაძვით ხდება ეს? რად ვერ უნდა შეძლოს ახალგაზრდამ, მით უფრო, შემოქმედმა, პრესის მეშვეობით ხალხთან საუბრისას სკაბრეზული გამონათქვამების გარეშე თავისი პოზიციის გამოხატვა?**

აი, ვნახოთ, რას და როგორ ამბობს ჟურნალ „რეიტინგში“ ახალგაზრდა მსახიობი ვანო ქურასბედიანი:

**„საქართველოში კულტურა და სპორტი** ტრ...შია! **სადაც კარგად გიხდიან, იქ თავზე გაფურთხებენ და სადაც არ გაფურთხებენ, იქ არ გიხდიან“.**

ბატონო ვანო, მერწმუნეთ, ამ **„ტრ...მა“** პირადად ჩემზე ვერავითარი განსაკუთრებული ემოციური გავლენა ვერ მოახდინა, და ვერც ის მრავალწერტილი, რომელიც უთუოდ რედაქციამ „შემოგაშველათ“, გამოგადგებათ ლეღვის ფოთლად, რომელი ფოთლითაც ოდესღაც ადამი...

**ისე, ჩვენში დარჩეს და, თანამედროვე ადამიანი საუკუნეების წინანდელ ადამს რაღაცით კი უნდა სჯობდეს! მეტყველების თუ გადმოცემის კულტურითაც, ცხადია!**

ერთმა თანამედროვე ახალგაზრდა **„მწერალმა“** კი, როგორც ჩანს, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ბერნარდ შოუს ხატოვანი ნათქვამი – მწერლობის კარი ფეხის კვრით უნდა შეაღოო.

**„ჩემი წიგნის ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა ყველაფერი შუშასავით გამჭვირვალე გახადა. მე დავინახე, ვინ ვინაა და ვის რისი** ტ...კი **აქვს. ახალ რომანში დიდი დოზით არის „საიდუმლო სირობის“ ირგვლივ ატეხილი სკანდალი“.**

დიახ, მკითხველო, სწორედ სკანდალურად გახმაურებული „საიდუმლო სირობის“ ავტორი, მართლაც სირი (შეურაცხყოფად ნურვინ მიიღებს ამ სიტყვებს, ძველ ქართულში სირი ჩიტს ერქვაძ ერეკლე დეისაძე გვესაუბრება ასე და გვეუბნება, თუ ვის რისი **„ის“** გვაქვს.

– აქამდე რა იყო, აწი, ჩემს ახალ რომანში, ნახეთ, რა იქნებაო! – გვექადნება კიდეც.

ისე არც მიკვირს: **სირი ერეკლე განა იმის ჩიტია, არ იცოდეს, რითი მიიპყროს მკითხველთა ყურადღება! რომელი მხატვრული სიტყვის ჯადოქარი ისა გვყავს, დიდოსტატური კალმის მოსმით მოხიბლოს და მიიზიდოს მკითხველი?**

ჰოდა იპოვა კიდეც იოლი გზა.

მაგრამ ერთიც კია: **ბოდიშს ვიხდი და, თვითონ ჩვენ, მკითხველი თუ არამკითხველი საზოგადოება, რომ არ ვიყოთ მართლაც სირები** (ამ სიტყვის ძველქართული თუ თანამედროვე ქართულ-რუსული გაგებითაცძ, **დეისაძისნაირთა მიერ „ნაპოვნი“ გზა მკითხველთა გულებამდე არ უნდა მიდიოდეს. არც მისნაირი შემოქმედები უნდა პარპაშობდნენ ასე თავისუფლად!**

დაბოლოს, მცირე განმარტება სათაურში გამოტანილი სიტყვის ბრჭყალებში ჩასმასთან დაკავშირებით: ერთ ცნობილ და თავის შემოქმედებასთან ერთად მახვილსიტყვაობითაც ხალხისთვის საყვარელ პოეტს (გვარს მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ მისთვის იმ „საშინაო“ ლექსის სახალხოდ გამოტანის უფლება არ მითხოვია, რომელსაც ახლა გაგაცნობთძ ამგვარი რამ აქვს ნათქვამი:

**გუშინ გირტყი, დღესაც**
**გირტყამ,**
**ხვალაც გაგიმეორებ,**
**არა, დედას არ „მოგიკლავ“,**
**რომ არ გაჩნდე მეორედ.**

**აქ ორი რამ მინდა ვთქვა: ჯერ ერთი,რომ ეს ლექსი კონკრეტულად და პიროვნულად არავისთან დაკავშირებით არ გამხსენებია. იგი, სამწუხაროდ, ბევრს ეხება. და მეორეც: ფაქტია, დამრტყმელი არა, მაგრამ კარგი გამწკეპლავი-ყურის ამწევი კი ნამდვილად სჭირდება ბევრ დღევანდელ ახალგაზრდა „შემოქმედს“, ჭეშმარიტი ოსტატობის გარდა ყველანაირი გზით რომ ცდილობს „წარმატების“ მოპოვებას.**

**მე კი ბოდიშს გიხდით ამ „საშინაო“ ლექსის „საგარეოდ“ გამოტანისთვის.**

**რუსლან რუსია**



## ინფორმაცია

### მოითხოვენ ქართველი ჯარისკაცების გამოყვანას

„ლეიბორისტული პარტია“ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სამშვიდობო მისიებიდან ქართველი სამხედროების დაუყოვნებლივ გამოყვანას სთხოვს. შესაბამისი განცხადება პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ გააკეთა.

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, რომელიც იმთავითვე აპროტესტებდა ერაყსა და ავღანეთში ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების წარგზავნას, დღეს კატეგორიულად მოითხოვს ამ ქვეყნებიდან ქართული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას და მათ დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებას, – განაცხადა კირთაძემ.

მანვე, პარტიის სახელით ავღანეთში დაღუპული ქართველი ოფიცრის მუხრან შუკვანის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა. ასევე, მძიმედ დაშავებულ ალექსანდრე გითოლენდიას მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

### ლიტვიდან 100 ათას ტონა ხორბალს შევიძენთ

ლიტვა საქართველოს ხორბალს იმ ფასში მიაწვდის რაც იმ ეტაპისთვის საერთაშორისო ბაზარზე იქნება დაფიქსირებული. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა ლიტვაში გიორგი ქერდიყოშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ქართული მხარე ლიტვისგან სავარაუდოდ 50-დან 100 ათასამდე ტონა ხორბალს მიიღებს.

### მალე ცხვრის გარეშე დავრჩებით

არაბულ ქვეყნებში ქართულ ცხვარზე მზარდი მოთხოვნის ფონზე, ცხვრის მორიგი პარტია ქუვეითში გაიგზავნა.

ათასი ცხვარი თვითმფრინავის სპეციალური რეისით ქუვეითში გადაიყვანეს.

ქართული ცხვრის ექსპორტს ქუვეითელი ინვესტორი ჰამედ ალ ნაქიბი ახორციელებს, რომელსაც ცხვრის სადისტრიბუციო ერთ-ერთი უმსხვილესი აღმოსავლური ფირმა აქვს.

ინვესტორი საქართველოდან აზიის ქვეყნებში ყოველდღიურად, ერთი თვის განმავლობაში, ათასი ცხვრის გაყვანას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ 2009 წელს საქართველოდან ექსპორტზე 270 ათასი ცხვარი გავიდა, წელს კი ამ ნიშნულის გაზრდა 5-10 %-ით იგეგმება.

ჯი-ეიჩ-ენი

## საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!

# „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე – ვენეციელი“

**მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რასაც შიშნარევი წინათგრძნობით ელოდებოდა ბედკრული საქართველო – შორეული ავღანეთიდან პირველი ქართველის ცხედარი ჩამოასვენეს. თუმცა, რატომ პირველი? ისტორიას თუ გადავხედავთ, ეს არც პირველია და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი...**

ავღანეთის ცხელ უდაბნოში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დიდი მოურავი გიორგი სააკაძე იქნევდა ძლევამოსილ მახვილს ირანის დროშის ქვეშ, ჩვენი დამაქცევარი შაჰ-აბასის სიამებლად, აქვე აღესრულა საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი დიდი გიორგი, ქართლის მეფე გიორგი X, მომდევნო, მე-18 საუკუნეში, რომელიც სხვა, თანმხლებ ქართველებთან ერთად, ავღანთა ერთ-ერთი, ტომის – ბელუჯთა ბელადის, მირ ვეისის შურისმგებლურ მახვილს შეეწირა.

„მჭედელნი უცხო თესლთა ისტორიისა“ – ასე უწოდა ლევან სანიკიძემ მაშინდელ ქართველებს, ვინც საკუთარი ძვლებით გააპოხიერეს და გააგრილეს ავღანეთის ცხელი ქვიშები. მათი საფლავებიც კი არ არსებობს.

შემდეგ იყო სსრ კავშირი და ე.წ. „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდა იმავე ავღანეთში. სადაც, ოფიციალური სტატისტიკით 200-მდე ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, რამდენიმე ასეული დაინვალიდდა და 7 დღესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

და აჰა, XXI საუკუნის გარიჟრაჟი და ისევ ავღანეთი. ოღონდ ამჯერად ვის ვალებს ვიხდით ქართველები, გაუგებარია. თუმცა არა! თუ კარგად დავუკვირდებით, გასაგებიც არის და ადვილად ასახსნელიც – გუშინ, დემოკრატიის შუქურად წოდებული საქართველო, დღეს დემოკრატიულ ვალს იხდის ავღანეთში. მართალია იმ შუქურიდან, რომელიც კრეტინმა ჯორჯ ბუშმა აუნთო თბილისში სტუმრობისას სააკაშვილს, მხრჩოლავი ჭრაქი თუ დარჩა, მაგრამ მაინც...

როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ერთმანეთს და არც ჰგავს. ჰგავს იმით, რომ შორეულ წარსულში, როდესაც გიორგი X შიშის ზარს სცემდა თავისუფლებისთვის მებრძოლ ავღანელებს, აქ მისი სამშობლო იცლებოდა სისხლისგან.

დღესაც ასე არ არის? რა გვინდა, რა დაგვიკარგავს ავღანეთში, როდესაც საქართველოს 1/4 ოკუპირებულია?

იხ. 4 გვ.



განხილვა

# კონსტიტუციური ცვლილებები

## კრიტიკული ანალიზი

**21 ივლისს საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვას. აღნიშნული დოკუმენტის შესახებ ქართულ საზოგადოებაში აქტიური დებატები არ წარიმართება, რაც მით უფრო სამწუხაროა, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტით არსებითად იცვლება სახელმწიფო მოწყობის არსებული მოდელი. წინამდებარე წერილში შევეცდები კრიტიკულად გავაანალიზო კონსტიტუციური რეფორმის პრობლემური ასპექტები. გამოვთქვამ იმედს, რომ ამგვარი ანალიზი გარკვეულ წვლილს შეიტანს საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესის გააქტიურებისა და კონსტიტუციური ცვლილებების გარშემო კონსტრუქციული და შინაარსობრივად დატვირთული დისკუსიის წარმართვის საქმეში.**

### 1. კონსტიტუციური ცვლილებები და სახელმწიფო მოწყობის ახალი მოდელი

როგორც ცნობილია, კონსტიტუციური სამართლის თეორია რესპუბლიკური სახელმწიფო მმართველობის სამ კლასიკურ მოდელს იცნობს – საპრეზიდენტო რესპუბლიკას, ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკას და საპარლამენტო რესპუბლიკას. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული ***კონსტიტუციური კანონის პროექტის საერთო ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ითვალისწინებს საქართველოს გარდაქმნას საპარლამენტო რესპუბლიკად.*** იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალური უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი მთავრობის დაკომპლექტების პროცესში, არ ერევა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში, ახალ კონსტიტუციურ მოწყობას ვერ განვიხილავთ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკურ მოდელად. გამომდინარე იქიდან, რომ პრემიერ-მინისტრი გვევლინება აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნულ და ექსკლუზიურ ლიდერად, წარმოდგენილ მოდელს არ ახასიათებს ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის აუცილებელი ატრიბუტი – აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი.

თუმცა, ***კონსტიტუციური ცვლილებები ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომლებიც უცხოა საპარლამენტო რესპუბლიკის კლასიკური მოდელისთვის***. კერძოდ, მეტისმეტად შესუსტებულია პარლამენტის როლი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლის სფეროში. ამის საპირისპიროდ, არაადეკვატურად არის გაძლიერებული პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური პოზიციები სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში.

ქვემოთ, პრეზიდენტისა და მთავრობის სტატუსისა და კომპეტენციების, აგრეთვე მთავრობისთვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების საკითხების განხილვისას, შევეცდებით კონკრეტული არგუმენტებით დავადასტუროთ ამ მოსაზრების მართებულობა.

### 2. პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები

– როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი ამკვიდრებს სახელმწიფო მმართველობის საპარლამენტო მოდელს. შესაბამისად, ***პრეზიდენტი არ სარგებლობს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელი კონსტიტუციური უფლებამოსილებებით***:

– პრეზიდენტი არ მოიაზრება აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტად;

– პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობს მთავრობის დაკომპლექტების პროცესში;

– პრეზიდენტი არ სარგებლობს სამართლებრივი ზედამხედველობის უფლებამოსილებით მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებების გადაწყვეტილებების მიმართ;

– მთავრობა არ საჭიროებს პრეზიდენტის თანხმობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარსადგენად;

პრეზიდენტი ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით (და არა კონსტიტუციითა და კანონით) მისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

– მეორე მხრივ, ***პრეზიდენტს მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი საპარლამენტო რესპუბლიკის მეთაურისთვის***:

– ***პრეზიდენტი „მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“.*** აღნიშნული ნორმის გაანალიზებისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერიდან ნათლად არ იკითხება, მთავრობასთან შეთანხმებას მხოლოდ მოლაპარაკებების წარმოება საჭიროებს, თუ ამგვარი ვალდებულება ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შინაარსის განსაზღვრასა და მათ ხელმოწერაზეც ვრცელდება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას არ მოითხოვს, აღნიშნული დოკუმენტების ხელმოწერა პრეზიდენტის დამოუკიდებელ უფლებამოსილებად უნდა განვიხილოთ. ზოგადად, სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების წარმოებისა და ამგვარი მოლაპარაკებების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების ფართო უფლებამოსილებით არ არიან აღჭურვილი კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკების პრეზიდენტები. სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი ფორმით არ ექვემდებარება საგარეო საქმეთა სამინისტრო, მოკლებულია უნარს აწარმოოს ეფექტიანი მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან. პრეზიდენტი ვერ გასცემს დავალებებს ზემოაღნიშნულ სამთავრობო დაწესებულებაზე, რაც წარმოშობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დამატებითი რესურსებით აღჭურვის მიზანშეუწონელ აუცილებლობას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილებები. შესაბამისად, მოცემულ პუნქტში პრეზიდენტისთვის საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭება ავტომატურად ართმევს მთავრობას აღნიშნულ კომპეტენციას. სრულიად გაუგებარი ხდება, როგორ შეიძლება ასეთ პირობებში მთავრობა განვიხილოთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ (იხ. 78-ე მუხლის პირველი პუნქტი). საგარეო ურთიერთობების სფეროში პრეზიდენტის ქმედითი უფლებამოსილებებით აღჭურვის ფონზე, პრობლემურად გვესახება პროექტის კიდევ ერთი ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში“: კონსტიტუციიდან ნათლად არ იკითხება, ვინ (პრეზიდენტმა თუ პრემიერ-მინისტრმა) უნდა წარმოადგინოს საქართველო ისეთ ღონისძიებებზე, როგორიც არის, მაგალითად, ევროკავშირის სამიტი (შეგახსენებთ, რომ კონსტიტუციის ბუნდოვანი ნორმების გამო, აღნიშნული საკითხი იქცა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის მწვავე დაპირისპირების საგნად პოლონეთში). შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, მოცემული საკითხი კონსტიტუციით მკაფიოდ უნდა დარეგულირდეს *(პრეზიდენტის აღნიშნულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ვენეციის კომისიის წინასწარ კომენტარებში გამოთქმული შენიშვნები)*;

– კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, ***პრეზიდენტი სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით სახელმწიფო თავდაცვის სფეროში.*** პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ამასთან, იგი ნიშნავს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს და სხვა მხედართმთავრებს *(აქვე უნდა აღინიშნოს რომ მხედართმთავრის ცნება კონსტიტუციაში დაკონკრეტებას საჭიროებს; მოცემული ტერმინი არც ერთი კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ არის განმარტებული).* გარდა ამისა, პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება სამხედრო ძალების სტრუქტურის შესახებ კანონპროექტის ინიცირება, ხოლო პრეზიდენტს დაქვემდებარებული უშიშროების საბჭო პარლამენტს წარუდგენს გადაწყვეტილების პროექტს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის შესაბამისი აქტები არ საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. აშკარაა, რომ პრეზიდენტისათვის მიკუთვნებული აღნიშნული კომპეტენციები გაუმართლებლად იჭრება მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილებათა სფეროში. გაუგებარია, როგორ უნდა აიღოს თავის თავზე სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა მთავრობამ და თავდაცვის სამინისტრომ, თუ კონსტიტუცია ამ ორ ორგანოს სამხედრო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე მხედართმთავრების დანიშვნაში მონაწილეობის კომპეტენციას არ ანიჭებს *(პრეზიდენტის აღნიშნულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ვენეციის კომისიის წინასწარ კომენტარებში გამოთქმული შენიშვნები)*;

***გაუგებარია, რატომ სარგებლობს არბიტრის ფუნქციით აღჭურვილი პრეზიდენტი საკანონმდებლო ინიციატივის ზოგადი უფლებამოსილებით.*** მით უფრო გაუგებარია, რატომ არის პრეზიდენტი უფლებამოსილი, პარლამენტს მოსთხოვოს მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის რიგგარეშე განხილვა.




### 3. პრემიერ-მინისტრის სტატუსი და უფლებამოსილებები

– როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციური ცვლილებებით ***მნიშვნელოვნად ძლიერდება პრემიერ-მინისტრის სტატუსი და უფლებამოსილებები:***

– პრემიერ-მინისტრი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი;

– პრემიერ-მინისტრი ერთპიროვნულად, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მინისტრების გათავისუფლება და ახალი მინისტრების დანიშვნა არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას;

– პარლამენტის მიერ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა არ ავალდებულებს პრემიერ-მინისტრს, თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის შესაბამისი წევრი;

– პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გუბერნატორებს;

– პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტს მოსთხოვოს მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის რიგგარეშე განხილვა;

პრეზიდენტის აქტები რიგ შემთხვევებში საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. ამასთან, პრემიერ-მინისტრის მიერ აქტების კონტრასიგნაცია არ საჭიროებს მთავრობის თანხმობას.

პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურ როლზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნორმაზე, რომლის თანახმადაც ***პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გარკვეული საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვა.*** ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთავრობის სხდომას, რომელსაც ესწრებიან პრეზიდენტი და უშიშროების საბჭოს წევრები, თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი. აქედან გამომდინარე, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნული ღონისძიება პრეზიდენტის მეორეხარისხოვანი პოლიტიკური როლის დემონსტრირებისათვის გამოიყენოს. შესაბამისად, პროექტის მოცემული დებულება არსებით მოდიფიცირებას საჭიროებს.

### 4. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურა

– კონსტიტუციური კანონის პროექტი ადგენს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ძალზე რთულ პროცედურას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ აღნიშნული პროცედურის რამდენიმე პრობლემურ ასპექტზე:

– ***გაუმართლებლად არის „გაწელილი“ ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებული პროცედურების ვადები.*** პროექტის მიხედვით, აღნიშნული პროცედურა შეიძლება გაგრძელდეს 102 დღეს, რაც ქმნის პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნის სერიოზულ საფრთხეს *(იხ. აგრეთვე ვენეციის კომისიის წინასწარ კომენტარებში გამოთქმული შენიშვნები).* პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, რომლის მიერ წარდგენილმა მთავრობის შემადგენლობამ ვერ მიიღო ნდობა, უფლებამოსილია 30 დღის განმავლობაში განუსაზღვრელი სიხშირით წარადგინოს მთავრობის იგივე ან ახალი შემადგენლობა პარლამენტში ნდობის მისაღებად. ამასთან, პრეზიდენტი უფლებამოსილია ახალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი წარუდგინოს პარლამენტს მხოლოდ აღნიშნული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. ნდობის გამოცხადების პროცედურის გამარტივებისათვის, აუცილებელია შეიზღუდოს როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენის ვადა, ისე წარდგენების მაქსიმალური რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ვერც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში ვერ შეხვდებით ნდობის გამოცხადების პროცედურისთვის დადგენილ ესოდენ ხანგრძლივ ვადებს;

– ***არაგონივრულია კონსტიტუციური კანონის პროექტის ნორმა, რომელიც პრეზიდენტს ავალდებულებს პარლამენტს თავდაპირველად წარუდგინოს საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ შერჩეული კანდიდატი.*** აღნიშნული ნორმის პრობლემურობა თვალსაჩინო ხდება შემდეგი კაზუსის მაგალითზე: *საპარლამენტო არჩევნებში ხმათა 40 პროცენტი მიიღო და საუკეთესო შედეგი აჩვენა საარჩევნო სუბიექტმა, რომლის პოლიტიკური კურსი მიუღებელია პარლამენტში მოხვედრილი სხვა პოლიტიკური ძალებისთვის. იმავდროულად, მეორე და მესამე ადგილზე გასული საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ერთად ფლობენ მანდატების 60 პროცენტს, არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოცხადებისთანავე თანხმდებიან, შექმნან საპარლამენტო უმრავლესობა და წარადგინონ ერთიანი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ცხადია, თუ ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობა იძულებულია დაახლოებით თვენახევარი ელოდოს საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურას, რომელიც იმთავითვე წარუმატებლობისთვის არის განწირული.* გაუგებარია, რატომ უნდა ახორციელებდეს თვენახევრის განმავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების წინა მოწვევის პარლამენტის მიერ ნდობაგამოცხადებული მთავრობა, როდესაც შესაძლებელია რამდენიმედღიანი, მარტივი პროცედურით ჩამოყალიბდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა;

– ***ჩანაწერი – „საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტი“ ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.*** ნათლად არ ჩანს, ამგვარ გაერთიანებად უნდა განვიხილოთ საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ სუბიექტი, რომელმაც ყველაზე მეტი მანდატი მოიპოვა პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების საფუძველზე. პრობლემურ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დავის საგანი შეიძლება გახდეს.

**ირაკლი კობახიძე,**
**სამართლის დოქტორი (Dr. iur. – დიუსელდორფის უნივერსიტეტი, გერმანია)**
**სამართლის მაგისტრი (LL.M. – დიუსელდორფის უნივერსიტეტი, გერმანია)**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი**

(გაგრძელება იქნება)

რა გვეშველება?!



# „ხუთოსანი ბიჭის“ მოჩვენებანი

**პრეზიდენტის მონოლოგებს შეჩვეულნი ვართ. მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოში ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც აბსოლუტურად უსისტემოდ მუდამ სადღაც დაფრინავს (კაბინეტურ მუშაობას ვერ იტანს!) და... მარტოოდენ საქართველოს და ქართველ ხალხს კი არა, მთელ მსოფლიოს ზემოდან დაჰყურებს.**

იმ დღეს კიდევ ერთხელ დაიდგა ალმა-დალმა მორბენალი ტრიბუნა ანაკლიის თვალწარმტაც სანაპიროზე და, ვიდრე მზე ზღვაში ჩაესვენებოდა, ბარე 50 წუთი, გაბრაზებულმა (ხანდახან უმიზეზოდ გაღიმებულმაც), ისევ მონოლოგის რეჟიმში დამოძღვრა და ტყუილებით გაბერა ნაცმოძრაობის აქტივი. რა თქმა უნდა, ტრადიციულად „აღფრთოვანდა“ მიშავიზიების მაყურებელიც.

მართალია, იმ შეხვედრის მთავარი თემა „ხუთოსანი ბიჭის“, ანუ საქართველოს და „ძველი, ხულიგანი ბიჭის“, ანუ რუსეთის დაპირისპირება იყო, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ მფრინავი პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციის პროექტით, ჯერჯერობით გაუგებარი მიზეზების გამო, უკმაყოფილოა და... ვიღაც-ვიღაცეებს არაფერი შეეშალოთო! სააკაშვილის მტკიცებით, **საქართველო დიდი გამოწვევების პირისპირ დგას და სუსტი პრეზიდენტი** (კონსტიტუციის პროექტის მიხედვით ხომ მომავალი პრეზიდენტის უფლებები იზღუდება!ძ **ასეთ რთულ ქვეყანას ვერ მოუვლისო.**

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, პრეზიდენტის გარემოცვის მთავარ „ჯარისკაცებს“ ყელში ამოუვიდათ მიხეილ სააკაშვილის გაუთავებელი ბაქი-ბუქი, ტყუილი და ხალხის დაბოლების უჩვეულო უნარი... სრულიად ბუნებრივია, რომ იმათ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის „კონსტიტუციური“ გზა გამოძებნეს. პრეზიდენტის ბანაკში ფარულ დაპირისპირებაზე უკვე ღიად ლაპარაკობენ ოპოზიციის ლიდერებიც.

გუშინ, თვითმარქვია მიხეილს მოსწონდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, დღეს — აღარ! მართლაც და, რა მოხდა?..

სწორედ ამის სათქმელად დაძრა პრეზიდენტმა ნაცების ლაშქარი ანაკლიისკენ, პოსეიდონოვით გაიჭიმა ზღვის სანაპიროზე და... კონსტიტუციის შეფასების შემდეგ ასეთი სიბრძნეც გადმოაფრქვია: (სტილი დაცულიაძ.

**„რუსეთი არის ძველი ბიჭი, უბნის ყოჩი. მის ხელმძღვანელობას აქვს კრიმინალური ავტორიტეტი და საქართველო, უცებ გაჩნდა ეს ხუთოსანი ბიჭი თუ გოგო, საქართველო — პოსტსაბჭოთა სივრცეში... იღებს კარგ ნიშნებს, ყველას მოსწონს, ყველა თავზე უსვამს ხელს, ყველას უნდა, რომ დაეხმაროს, ყველას უნდა, რომ გზა გაუხსნას... რა თქმა უნდა, ამ ძველ ბიჭს არ ეპუება. ერთხელ წამოარტყა იმან თავზე, მეორედ წამოარტყა, მესამედ კიდევ ხელი გაკრა, შეაგინა, შეაფურთხა, ბოლოს გადაწყვიტა, რომ კარგად მოსცხოს და ამ ხუთოსანმა შეუბრუნა ხელი და კარგი მაგარი პანღურიც ამოარტყა ამ ძველ ბიჭს. ამასობაში უბანში შემოიხედა პოლიციელმა, ამ შემთხვევაში მსოფლიო თანამეგობრობამ და ყველა გააჩერა, მაგრამ ძველმა ბიჭმა ხომ იცის, რომ მდგომარეობა გაუფუჭდა უბანში, ე.წ. „პალაჟენია“ — მათი სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, იმიტომ რომ, ყველა ხედავს, რომ ეს ხუთოსანი ბიჭი, მართალია ხელი და ფეხი შეიძლება გაბინტული ჰქონდეს, მაგრამ ის ისევ დადის სკოლაში, ისევ გამოვიდა გარეთ, არ ეშინია, ისევ ნიშნებს იღებს, ისევ აგრძელებს ზრდასა და განვითარებას და ამასობაში ამ ძველ ბიჭს უკვე დანარჩენებიც აღარ ეპუებიან, ფიქრობენ, რომ ეს თუ გადარჩა და ამას კისერი არ მოატეხა, ახლა ჩვენ მით უმეტეს რას გვიზამს. ჩვენ ხომ უკეთესად გაზრდილები ვართ. და რაც დრო გადის, ეს პროცესი უფრო შეუქცევადი ხდება, იმიტომ რომ, ეს პატარა ბიჭი იზრდება, ვაჟკაცდება და ძალაც ემატება. რა თქმა უნდა, ძველი ბიჭის მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეს არის სრულიად მიღებული სიტუაცია“...**

**ამ „მიღებული სიტუაციის“ პატრონს სჯერა (თუმცაღა, ალბათ, თავსაც იტყუებს და ჩვენც გვატყუებს), რომ საქართველო, განვითარების თვალსაზრისით რუსეთის მთავარ კონკურენტად იქცა და ჩვენში არსებული ვითარების წყალობით, დრო უკვე საქართველოს სასარგებლოდ მუშაობს! მიხეილის „გრძელი“ ჭკუით მაქსიმუმ 7-8 წელიწადში რუსეთში ნავთობის მოპოვება ორნახევარჯერ შემცირდება, რადგან რუსეთს ყველაფერი მოკლე დისტანციაზე აქვს გათვლილი!..**

ღმერთო ჩემო, ამას რას მოვესწარით, რუსეთს თურმე ყველაფერი მოკლე დისტანციაზე ჰქონია გათვლილი და რამდენსამე წელიწადში იმპერიის ეკონომიკის მთავარი დარგი ჩაფლავდება...

კითხულობენ, უსმენენ მიხეილ სააკაშვილის მსგავს სისულელეებს რუსეთში და... სიცილით კვდებიან! კიდევ კარგი, რომ მარტოოდენ სიცილით კვდებიან, თორემ, მართლა ხომ შეიძლება ძალიან გაბრაზდეს მსოფლიოსთვის დღემდე შეუცნობელი ეს ვეება დათვი და სასიკვდილოდ დატოროს ისედაც დაქუცმაცებული და გაუბედურებული საქართველო!

ბარბაროსსა და ოკუპანტ რუსეთს ეს ერთხელ გაუკეთებია თუ — ორჯერ?

**მერე მოვა ის „პოლიციელი“ — მიშას საერთაშორისო საზოგადოება და რუსეთს ძალის გადაჭარბებაში დაადანაშაულებს, ჩვენ კი გულითადად მოგვისამძიმრებს, საერთოდ თუ დარჩა ვინმე მისასამძიმრებელი!**

რა რუსეთის ეკონომიკის კრიზისზე ლაპარაკობს ეს მართლაც სასაცილო და სატირალი პრეზიდენტი, როცა ბედკრული საქართველო ყელამდე ვალებშია ჩაფლული და საკუთარ ასანთსა და საპონსაც კი ვერ აწარმოებს; როცა ფასები ყოველდღიურად მატულობს, როცა მოსახლეობის ნახევარი შიმშილობს; როცა სინდისის ჩათვლით ყველაფერი იყიდება...

**საერთოდ, იპოვის ვინმე დიპლომატიურ ლოგიკას სააკაშვილის მონოლოგებში? ის ხომ მარტო თვითონ ლაპარაკობს, არავის უსმენს, ქართულ პრესას საერთოდ არ კითხულობს, არც ერთი გონიერი მრჩეველი არ ჰყავს, ძუჩიდან მართავს სახელმწიფოს და ამ ბოლო დროს ძუჩაში მიტყეპილი „ხუთოსანი ბიჭის“ მოჩვენებებიც აწუხებს..**

**სპარტაკ ქოზულია**

საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!..

# „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე — ვენეციელი“...

(მეორე გვერდიდან)

მსგავსებები ალბათ ამით ამოიწურება, ხოლო განსხვავებები, რაშიც ჩვენი ტრაგედიაა, რამდენიც გნებავთ.

დავიწყოთ იმით, რომ იმ ქართველებისთვის, რომლებიც ირანისა თუ სსრკ-ს დროშებით ებრძოდნენ ავღანებს, ეს ბრძოლა იძულების შედეგი იყო. დღეს, სააკაშვილის, ნაცების ხუშტურის გარდა, სხვა რა გვაიძულებს იგივეს? მაშინ, როდესაც ნატოს წამყვანმა ქვეყნებმა საკუთარი ჯარები გამოიყვანეს, ან გამოჰყავთ ავღანეთიდან, რატომ უნდა იყოს პატარა საქართველოს სამხედრო კონტიგენტი რაოდენობრივად ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ერთ სულ მოსახლეზე პროცენტული გაანგარიშებით, სულაც ყველაზე პირველი?

და უმთავრესი — ის ქართველები საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენით შეაკვდნენ ნახევრად ველურ ავღანთა ტომების ხმლებს, ხოლო ახლანდელი ჩვენი შვილების, მამებისა თუ ძმების სისხლი, ნაცების რეჟიმის შენარჩუნებისთვის იღვრება. ჰოდა..

## პოზიცია ხარ თუ ოპოზიცია, ვინც მხარს უჭერთ ავღანეთში ე.წ. ანტიტერორისტულ მისიაში საქართველოს მონაწილეობას, ჯერ თქვენი შვილები გააგზავნეთ იქ!

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ იმ ქართველი ვაჟკაცის — მუხრან შუკვანის კუბო და ე.წ. ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია, ლამის ერთდროულად ჩამოფრინდნენ თბილისში.

პირდაპირ შემზარა ე.წ. ალექსეევკას სამხედრო აეროდრომზე ხილულმა კადრებმა, სადაც დაღუპული ქართველი ოფიცრის ჭირისუფლები ორჯერ მიიყვანეს. პირველად მაშინ, როცა კუბო ჩამოასვენეს, მაგრამ ეგრევე ექსპერტიზაზე გააქანეს. თუმცა რა ექსპერტიზა იყო საჭირო, ისედაც დაჯიჯგნილი სხეულისა, ამას ვერ ვხვდები.

და მეორედ მაშინ, როდესაც ექსპერტიზაგავლილი ცხედარი ისევ აეროდრომზე მოასვენეს, რათა ჩაეტარებინათ პროცესია კუბოს ჩამოსვენებისა იმ ამერიკელ კონგრესმენთა დასწრებით.

პროცესიებზე და პიარებზე რომ არიან ნაცები გაგიჟებულები, ეს არ ახალია, მაგრამ ასეთი ცინიზმი, ფარსი და უპატივცემულობა დაღუპულის, მისი ჭირისუფლების მიმართ?..

ამერიკამ, რომელმაც სულ ახლახან გამოაცხადა ერაყში სამხედრო ოპერაციის დამთავრების შესახებ, რაც მათ რამდენიმე ათასი სამხედროს დაღუპვასთან ერთად, სადამ ჰუსეინის დიქტატურის „დემოკრატიით“ შეცვლა, 1 ტრილიონი დოლარიც დაჯდომია. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის კომპენსაციების გადახდაზე დაიხარჯა.

ანუ, ისინი, როგორც ჩვენში იტყვიან, საშვილიშვილოდ, უზრუნველყოფილნი არიან. ჰოდა, ამ ჩვენი ცოდვით სავსე კონგრესმენებს, ალექსეევკას აეროდრომზე მისვლას და ნიანგის ცრემლების ღვარღვარს, ჯობდა იგივე კომპენსაცია მუხრან შუკვანის და იმ ცოცხლად გადარჩენილი (ვაი, ასეთ გადარჩენასძ უფეხოდ დარჩენილი ბიჭისთვისაც გადაეხადათ.

ისიც ძალიან მაინტერესებს, რა ხელფასს უხდიან ავღანეთში ქართველებს და ამერიკელებს. სხვაობა, თანაც ასტრონომიული, ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ რომ არ იქნება, ალბათ ყველასთვის ცხადია.

ამერიკელი კონგრესმენები, ჩვენს უდღეურ ოპოზიციას და ხელისუფლებასაც შეხვდრიან. პირველზე, რესპუბლიკელმა უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მისი „მაღალრეიტინგული“ ორპროცენტიანი პარტია მხარს უჭერს საქართველოს მონაწილეობას ავღანეთის ოპერაციაში. ოღონდ ერთი პირობითო — ამერიკელებმა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე თვალი არ უნდა დახუჭონო!

აპრუწუწუნ! რესპუბლიკელებო, ქრისტიან-დემოკრატებო და კიდევ ვინ ხართ აშშ-ის მეხოტბე, სულგაყიდულო თახსირებო! ჯერ ერთი, მაგათი თვალის ახელის არავის სჯერა და ასემც უქნიათ აუხელიათ კი არა, საერთოდ დაუთხრიათ. მეორეც, სასწაული რომ მოხდეს და მართლაც აახილონ დასაბრმავებელი თვალები, ამის სანაცვლოდ, თუნდაც ერთი მუხრან შუკვანის სიცოცხლე მეტისმეტად დიდი ფასი მგონია.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ კი ჩვენი ბიჭების დაღვრილი და დასაღვრელი სისხლის სანაცვლოდ, ამერიკელ კონგრესმენებს საქართველოს ოკუპაციის ოფიციალურად გაფორმება სთხოვა კონგრესში — ჯერ ერთი ესეც აბსურდი და უტოპიაა, მაგრამ, რომც მოხდეს, არც ამ სისულელისთვის ღირს ჩვენი ბიჭების სიცოცხლის გაწირვა, რადგანაც...

თუმცა ამ სამ წერტილში ნაგულისხმევს, ვერც რესპუბლიკელები გაიგებენ და ვერც ნაცები, რადგანაც ორივენი ერთი ტალახით არიან მოზელილები.

ზემოთ მირ ვეისი ვახსენე, როგორც მეფე გიორგის ბედისწერა. დღევანდელი საქართველოს ბედისწერა კი ნაცებთან ერთად: ტუტუცი ჯორჯ ბუში, კონდოლიზა რაისი, ჯონ მაკკეინი და აგერ ახლა, ამერიკის ახალი ელჩი ჯონ ბასია, რომელიც დღეს გვაბრუებს თავისი „დემოკრატიული“ ბაასით.

სანამ ეგენი არ გადაშენდებიან ჩვენი სინამდვილიდან, მანამდე არაფერი გვეშველება ქართველებს.

**ქართველებო, სანამდე დროა და ავღანეთიდან ქართული კუბოების ქარავანი არ წამოსულა, ახლა მაინც ამოვიღოთ ხმა. არა და ქარავანი წამოვა. მუხრან შუკვანის კუბო „პირველი მერცხალი“ იყო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული...**

**დავით მხეიძე.**

ჩვენი აფხაზეთი

# განმუხურიდან ნოსტალგიამდე

ამბობენ, პრეზიდენტი „ისე რა“ იყოო, განმუხურს რომ ეწვია! არ ვიცი, რას ნიშნავს ეს „ისე რა“, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, რომ თავი არ მოეწონებინა ქვეყნის ამ მოჭირნახულე ადამიანს? და მოიწონა კიდევაც! და მოსაწონიც ჰქონდა ნამდვილად, რომ ერთი „მაგრამ“ არ ყოფილიყო!

განმუხური ანაკლიის ენგურსგაღმელი „ძმაა“ და მის ჭაობთან და კოღოებთან „ბრძოლაში“ მიდიოდა აქაურთა ცხოვრება! მეტად მიმნდობი და სიკეთით აღსავსე ხალხი ცხოვრობს განმუხურში, შრომისმოყვარე და გამრჯე. წლების წინათ ვწერდი ჩვენს გაზეთში ანაკლიისა და განმუხურის აღორძინების შესაძლებლობებზე, მაგრამ ვინ გიგდო ყური? მაშინ „ვარდების რევოლუციის“ მიღწევებით ვიყავით გათანგულები. ერთი ინგლისური ბანკი 8 მილიარდ დოლარს დებდა ამ მხარის და საქართველოს მიმდებარე რეგიონების აღორძინებისათვის. ოღონდ „კურორტ ანაკლიაზე“ და „კურორტ განმუხურზე“ მაინცდამაინც არ იკლავდნენ თავს. მათ სხვა გეგმები და მიზნები ჰქონდათ, ისეთი მიზნები, რომელიც საქართველოს ძნელად თუ დაესიზმრებოდა!.. თუმცა, მოდით ამაზე ახლა სიტყვა არ გავაგრძელოთ, თორემ, თავს ვერ მოვერევი და წამომცდება თუ როგორ მოითხოვა „ქართულმა მხარემ“ ამ ინვესტიციიდან (8 მილიონი დოლარიძ 60 პროცენტი საკუთარი „ბიუ-ჯიბე-ტისთვის“...

ჰოდა, ამას წინათ, ბედნიერება მქონდა, ვწვეოდი ანაკლიასა და განმუხურს. ამ სოფლებში ადრეც ვყოფილვართ იხვებზე სანადიროდ ბიჭები. რა შედარებაა! აშენებულ-დამშვენებულა ანაკლია, მაგრამ მეტად გამახარა განმუხურის სახეცვლილებამ, – მთელს სანაპიროზე გაჭიმულმა პალმის ხეივნებმა, კლუბებმა, სახაჭაპურეებმა, პავილიონებმა და სახემომღიმარმა ადამიანებმა. იქვე ბიჭებს მანქანების საბარგულები აეხადათ და იქ ჩადგმული „ცისტერნებიდან“ მიირთმევდნენ, მართალია შაქრიან, მაგრამ მაინც ღვინოს! იქვე, ვიღაცა ნახევრად გამდნარ ნაყინს ორ ლარად ყიდდა, ვიღაცას ძილი მორეოდა ამ პაპანაქებაში და იქვე „ისვენებდა“ გახურებულ ქვა-ღორღზე. მართალია, განმუხურში ქვიშა მცირედად მოიპოვება, მაგრამ სპეციალურად მოწყობლ გასარუჯ მოედნებზე მაინც ნახავთ „შემოტანილ“ ენგურის სილას. მასზე ჯერჯერობით არავინ ირუჯება, მაგრამ მოვა დრო და... სად წავლენ, თუ აქ არ გაირუჯებიან?!


განმუხური, გამყოფი კედელი

... დღეს აქ, „ერთლარიანი“ ავტობუსით ჩამოვედი. ერთი ლარი ღირს ამ ავტობუსით მგზავრობა და იმიტომ ჰქვია ასე! ასეთი ავტობუსები კი, ჯვარიდან და წალენჯიხიდან დადიან და სუნთქვასავით სჭირდებათ აქაურ ზღვის მოყვარულებს, ოღონდ:

ავტობუსები ჯვარშივე და წალენჯიხაშივე თუ არ გაივსო, ვერ წავა. თანაც გარანტირებული რომ იყოს „პასაჟირებით“, ორმხრივი მგზავრობის ფულს ახდევინებს მძღოლი „კურორტნიკებს“ და, მიუხედავად ამ ორმხრივი ე.წ. „ბილეთებისა“, საღამოს, თუ არ ივაჟკაცე, შეიძლება ავტობუსში ვერც მოხვდე. რატომ ხდება ასე-მეთქი რომ ვკითხე, მიპასუხეს:

– აქ დადგენილი „რეისავოი“ არ დადის, ძმაო, არც სალაროა და არც მოლარე, რომელიც ავტობუსში ადგილებს დაგიჯავშნის... ეს ავტობუსები და თვითონ „მარშრუტიც“ მძღოლებს აქვთ შეძენილი და, რაც უნდათ იმას აკეთებენ, უნდათ წავლენ, უნდათ არა!..

ჰოდა, თუ გაგიმართლა და უკანგზოზის ავტობუსში მოხვდი, ხომ კაი, თუ არა და... რა დიდი ამბავია? 40 ლარამდე ღირს ტაქსი მარტო ჯვარამდე! არა, ბევრი არ არის მაგრამ, რომ არა გაქვს ეს 40 ლარი? ჰოდა, თუ არა გაქვს, შენს ჭანისწყალში და მაგანაში იჭყუმპალავე, მაინცდამაინც აუცილებელი არ არის პონტოს ზღვაში იბანაო! „პონტო“ ტყუილად არ მიხსენებია, ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს ხიბლავთ ეს სახელი, იმ მეგობრებს, ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტი ფართოდ გაშლილი ხელებით რომ ეპატიჟება დღენიადაგ, მაგრამ... ერთ უცხოელს უთქვამს:

– კი ბატონო, სასტუმროებს არა უშავს, მაგრამ კიდევ უკეთესიც მინახავსო... მაგრამ ზღვაო?.. ვერ გავიგე, კაცო, რა უნდოდა იმ დალოცვილს? რაო, რაო, რა ზღვაო? თბილიაო, მაგრამო.... რა მაგრამ? რა მოხდა მერე, ჭუჭყიანი და მღვრიე რომ არის?.. რა ვქნათ, ბატონო, ენგური შვრება მაგას და ჩვენ, როგორ ავუკრძალოთ ენგურს ენგურობა? ენგურს კი, მილიარდი წელიწადია ასეთი წყალი, მორები, ჯირკვები და ნეშომპალა ჩამოაქვს ანაკლიაში და განმუხურში! ახლა რავა გინდა, რომ აუკრძალო? ის კი არა, მე რომ მკითხოთ, კარგიც არის ეს ასე რომ არის! ნეტავ განახათ როგორ ებღაუჭებიან ამ ზღვაში მოტივტივე მორებს და ჯირკვებს ცურვაუცოდინარი „ზღვაოსნები!“

– პოლიტიკურად კაია, კეთილმოწყობილი განმუხური, მარა უშველის ეს საქმეს?..

– რა „მარა“ შე კაცო, რითი ხარ უკმაყოფილო-მეთქი – ვკითხე იმ „მარას“ მთქმელს.

– რაი, და... აფხაზები იბრუნებენ პირს ვითომ ასეთი „სამოთხისკენ“? ... პრეზიდენტმა რომ ბრძანა, ანაკლია და განმუხური საერთაშორისო კურორტი იქნებაო, არა მგონია მასე მოხდეს! ასეთ წყალში თუ ერთხელ მაინც იბანავებს ის უცხოელი, მეორედ არ მოუნდება გაჭუჭყიანება... თუ მტრის თვალის დასაბრმავებლად ერთ-ორ უცხოელს დავიქირავებთ და ვათქმევინებთ „დედა, დედა ეს რა ვნახეო“, კი, მარა... ისე ჩვენთვის რა უჭირს, ენგურის წყალია ბოლო-ბოლო, ზღვის მარილიან წყალს გარეული!..

... განმუხურის „ბულვარი“ დასავლეთისკენ მიუყვება სანაპიროს. ბოლოში კი, კედელია აღმართული, კედელი რომელიც ჰყოფს აფხაზეთს დედა საქართველოსგან და მე, მოძალებულმა ნოსტალგიამ ჩემი ერთი ადრინდელი ნოველა გამახსენა:

# მარილი

– „ისე გავლიე ჩემი ცხოვრება, რომ ვერაფერს დავამჩნიე ნაკვალევი. თითქოს მარმარილოს გლუვ ზედაპირზე მინისლანჩებიანი ქალამნებით დავდიოდი. ათასგვარმა გულისამრევმა წვრილმანმა შეილია ენერგია, ისე, როგორც თანდათან შრება და ორთქლდება წყალი, რომელიც ხის თავღია ვარცლზეა დაგუბებული უპატრონოდ და უმომხმარებლოდ. ვინ იცის ამ წვრილმანებმა რამდენი ოცნება გააფერმკრთალა, რამდენ დიდ საქმეს მოგვაცდინეს. ჩვენ კი მაინც ცხოვრებას ვეძახით მათ. იყო ათასი განცდა, ათასი წუხილი, ათასი სატკივარი და ამ სატკივრებს ახლოსაც არ იკარებდა მარმარილოს ის სიგლუვე! ახლა ვარ აგერ და არ ვიცი რისთვის ვარ, რასა ვიქ. ალბათ, ასევე განვშრები ქვეყნიერებიდან. არადა, ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება მინდოდა! ეტყობა, მაკლდა მარილი, მაკლდა და სხვამ ვერავინ მოიცალა, თუნდაც მუჭით, გამოეწოდებინა იგი ჩემთვის. მე ვერავის ვთხოვე იგი, რადგან მათხოვრობას არ ვარ ჩვეული. ადამიანები კი ხშირად თვალს არიდებენ ადამიანებისავე ცოცხალ თვალებს, ხოლო, როცა ჩავქრებით ამიერითგან, მაშინ შეეცდებიან ჩაღრმავდნენ იქ, სადაც უკვე ვერავითარი მზერა-თვალსაწიერი ვერ განაღებს კარებს... იქაც არ მოგასვენებენ, სულსაც გიჩიჩქნიან...“

„...როცა ამ სიტყვებს მეუბნებოდა სოხუმის სანაპირო ხეივნიდან, ოდნავ გახელილი თვალებით, მზერდა ჰორიზონტს. ჩვენს წინ ზღვა იყო, მშვიდი ზღვა, მარილით სავსე, მაგრამ ეს მარილი სითხეში იყო განზავებული და მუჭითაც ვერ მიართმევდი ვერავის, რომც გდომებოდა.

„გიკვირთ, ალბათ, უცხო კაცი რომ გაგიშინაურდით... გეტყობათ, სტუმარი ხართ ჩვენი ქალაქის, მაგრამ უცხონი არავინ არა ვართ ერთმანეთისთვის, ადამიანები ყველანი ერთი დედ- მამის შვილები ვართ, ოღონდ გვარები გვაქვს სხვადასხვა, გვარები, რომლებიც თავისთავად არაფერს ნიშნავს. არც სახელები ნიშნავს რამეს. უბრალოდ, გვინდა და ასე ვეძახით ერთმანეთს. თარაშს მეძახიან მე! შეეძლოთ დაეძახათ თქვენი სახელი და მე ისევე მოვიხედავდი, როგორც მაშინ, როცა თარაშს დამიძახებდნენ... ერთი დედ-მამის შვილები ვართ-მეთქი, მაგრამ ვართ კი, ერთი დედმამის შვილები? თუ ვართ, რისთვის ვართ? და თუ არა ვართ, რატომ არა ვართ?...“

...მზე არ იყო ამოსული ამ სკამელთან რომ მივედი. ვიფიქრე, ზღვის სილურჯით, ამომავალი მზის ხილვითა და დილის მყუდროებით დავაპურებ-მეთქი, სულს. ის აქ დამხვდა. იჯდა სკამელის იქითა კიდესთან და მეგონა ეძინა კიდეც, მაღლა აწეული თავით, უჩვეულოდ შემართულს. მეორე კიდესთან ჩამოვჯექი და ჩვენ ხის შეღებილი, უსულო ლატანი გვყოფდა ახლა, რომელზედაც კიდევ დაეტეოდა რამდენიმე ჩვენნაირი. სანამ უცბად არ მოიხედავდა და თვალს თვალში არ გამიყრიდა. მისთვის არავინ იყო აქ. ან იქნებ, არც ამის შემდეგ იყო ვინმე?“.. მივესალმე უცნობის სალმით. ოდნავ გასწორდა და ჩამათვალიერა. არაფერი უთქვამს. კვლავ შორს მიაწურა მზერა და ასე იჯდა დიდხანს.


სოხუმი

– რატომ მოხვედით? –შემეკითხა მერე.

– ისე!...– ვუპასუხე და ჰორიზონტზე ამომავალი მზისკენ გავიშვირე ხელი, – მალე წავალ თუ...

– არა, არ მიშლი!... მზე ყველასია,.. ზღვაც!

– კარგად გამოგივიდათ...– გავიღიმე დაბნეული კაცის ღიმილით, – მზე და ზღვა ყველასია!...

– მე ასე არ მითქვამს!... მე ვთქვი „ზღვაც!“

–სწორი ბრძანდებით, თქვენ ასე თქვით...

– მზე ერთნაირადაა ჩემი და შენი, ზედმეტს ვერაფერს დააკლებ, ზღვაში კი ბევრი მარილია...

– იცოცხლეთ, ბევრია!...

– მომაწოდეთ, მაშ, თუნდაც ერთი მუჭა!

– სიამოვნებით, მაგრამ...

– საოცარია, თქვენ თქვით „სიამოვნებით?“

– დიახ, რა თქმა უნდა, რომ...

– აი, ხომ ხედავთ, მაინც გაერია „რომ„... ყველა ასე ვამბობთ, „რომ შემეძლოს„! არადა, შეგვიძლია, მაგრამ ვერ ვიმეტებთ სხვისთვის...

– მარილი რაა, რომ ვერ გავიმეტოთ?

აიმრიზა. მერე მენდო და ის მითხრა რაც ზემოთ მოგიყევით.

..მას შემდეგ, ვიხსენებ და კარგად მაინც ვერ გამიხსენებია რამდენი წელი გავიდა. ათი, ვითომ? ან იქნებ ოცი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ გუშინდელ დღესავით მახსოვს! – აი, აქ, ახლა რომ ვდგავარ, სკამძელი იდგა, იმ სკამძელზე კი იჯდა კაცი, რომელმაც ზღვიდან მარილის ამოღება მთხოვა. დღეს კი, აქ სკამძელი არ დგას. არ არის ის კაციც, მაგრამ ათასი ვინმე დადის ქალაქში კვლავინდებურად, ათასგან მიეჩქარებათ, ათასი ტკივილი აწუხებთ, ათასი განცდა, ათასი ოცნება. სულ სხვაგვარია ყველაფერი ირგვლივ, მხოლოდ მზე არ შეცვლილა, ისევ ძველებურად მოაცილებს ჰორიზონტს მომდგარ რიჟრაჟს. ზღვაც ისევ ისეთია, ლურჯი, უსაწიერო, მარილით სავსე, მაგრამ უმარილო...

ზღვისპირას ძველი მეზღვაური დგას და ისიც ჰორიზონტს გაჰყურებს. ფეხებში ტალღები ეპოტინება. ჩიბუხიდან სევდასავით ამოდის ბოლი. სადღაც მიდიან გემები.

– თქვენც გემებს მიაცილებთ?– მეკითხება.

– არა, იცით...

– ვიცი! ვხედავდი როგორ იდექით აი, იქ!... იქ ძველად სკამძელი იდგა, შეღებილი სკამძელი...

– დიახ!

– იმ სკამძელზე ყოველ გამთენიას კაცი იჯდა და ჰორიზონტს გაჰყურებდა...

– თქვენც გახსოვთ?

– მახსოვს!.., მე იმ სკამძელზე არასოდეს ჩამოვმჯდარვარ, მაგრამ მაინც მახსოვს...

– საოცარი კაცი იყო!...

– ...არ ჩამოვმჯდარვარ და იქნებ ჯობდა ჩამოვმჯდარვიყავი, სულ მცირე წამით მაინც...

– მარილის ამოღება მთხოვა ზღვიდან!

– იშვიათად სთხოვდა ვინმეს რამეს...

– მე კი, მთხოვა!...

– მერე სადღაც დაიკარგა, ამბობდნენ ფსიქიატრიულში წაიყვანესო. დავიწყდა კიდეც ყველას. ერთ დილით კი, სკამძელზე იპოვეს მკვდარი. თვალები გახელილი ჰქონდა და ზღვას გაჰყურებდა, მუჭში კი, მარილი ეჭირა, უბრალო, ჩვეულებრივი მარილი...

გემები გაშორდებოდნენ.

ქუჩა სავსე იყო ხალხით. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა და არავის აზრად არ მოსდიოდა ზღვიდან თუნდაც ერთი მუჭა მარილი ამოეღო და მიეტანა იქ, სადაც ის კაცი იჯდა...

ზაურ ფიფია

# ისლამური ირანი – რეგიონული ზესახელმწიფო



**2010 წლის 21 აგვისტოს საინფორმაციო სააგენტოებმა მსოფლიოს აცნობეს, რომ ირანის სამხრეთით მდებარე ნავსადგურ ბუშერში საექსპლუატაციოდ გადაეცა ატომური ელექტროსადგური, ცერემონიალს დაესწრნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი და ატომური ენერგიის ორგანიზაციის დირექტორი ბატონი სალეჰი და „როსატომის“ ხელმძღვანელი ბატონი კირიენკო. ამრიგად ირანის ისლამური რესპუბლიკა გახდა ბირთვული ენერგეტიკის მქონე ქვეყნების კლუბის წევრი.**

ირანის ბირთვული პროგრამის საწყისი ეტაპი უკავშირდება შეერთებული შტატების და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგიულ ძალისხმევას შაჰინშაჰურ ირანში ბირთვული ენერგეტიკისა და სათანადო კადრების მომზადებისთვის მყარი ბაზის შექმნის მიზნით. შეერთებული შტატების დახმარებით 1967 წელს აშენდა და ამუშავდა პირველი რეაქტორი ამირაბადის კვლევით ცენტრში ქ. თეირანში, ხოლო 70-იან წლების ბოლოს დამთავრების სტადიაში იმყოფებოდა ქ. ბუშერის ატომური ელექტროსადგურის პირველი რეაქტორის მშენებლობა (მშენებლები – დასავლეთგერმანული ფირმებიძ.

ირანის ფართომასშტაბური პროგრამის მიხედვით 90-იანი წლების ბოლოსთვის ირანში უნდა აშენებულიყო 23 რეაქტორი.

სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მასშტაბით ბირთვულ სფეროში ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან თანამშრომლობდა: 10 ქვეყანა, შეერთებული შტატების ენერგიული ზეწოლის შედეგად რუსეთისა და ჩინეთის გარდა სხვა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს თანამშრომლობა ირანთან. 1997 წელს ვაშინგტონსა და პეკინს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს ჩინეთის მიერ ირანთან ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის შეწყვეტას. ამრიგად, 1997 წლიდან მხოლოდ რუსეთი რეალურად თანამშრომლობს ირანთან ბირთვულ სფეროში.

1970 წელს შაჰინშაჰურმა ირანმა ხელი მოაწერა კოლექტიურ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (NPTძ, ხოლო 1974 წელს ე.წ. გარანტიების მოპოვებისათვის აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან.

შაჰინაშაჰურმა ირანმა 1974 წელს წამოაყენა წინადადება ახლო-აღმოსავლეთის რეგიონის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ, 1994 წელს ისლამურმა ირანმა დააფიქსირა იგივე პოზიცია.

1978-1979 წ. ანტიშაჰური, ანტიდასავლური ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ რეგიონში კარდინალურად შეცვალა გეოპოლიტიკურ ძალთა განაწილება შეერთებული შტატების ინტერესების საზიანოდ.

ირანის ისლამური რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეყრდნობოდა ადგილობრივ იდეურ-პოლიტიკურ, საორგანიზაციო და ფინანსურ რესურსებს: მეჩეთის, ბაზრის, ინტელექტუალების ნაწილის ალიანსმა და ფართო მასების აქტიურმა გამოსვლებმა დაამარცხეს ფეჰლევიანთა რეჟიმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუციის ლიდერის აიათოლა რუჰოლა ხომეინის სიტყვებს – „ირანის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები უნდა განიხილებოდეს თეირანში და არა ვაშინგტონში ან მოსკოვში“, – რეალური საფუძველი ჰქონდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ფეჰლევიანთა დინასტიის ფუძემდებელი რეზა შაჰი, რომელიც ინგლისელების ხელშეწყობით 1925 წელს ავიდა ტახტზე, 30-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად გადაიხარა გერმანიისკენ. 1941 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ჯარმა ირანის ჩრდილო ნაწილი (თეირანამდეძ, ხოლო ინგლისის ჯარმა სამხრეთის ნაწილი დაიკავეს, ამერიკელები მათ შეუერთდნენ 1942 წელს. რეზა შაჰი გადადგა, მისი ვაჟი მოჰამადრეზა ავიდა ტახტზე.

ზუსტად 10 წლის შემდეგ ირანის სახალხო ფრონტის ლიდერის დოქტორ მოსადეყის პრემიერ-მინისტრობის დროს მიღებული იქნა კანონი ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. ამ კანონის ცხოვრებაში გატარება მოასწავებდა ირანის ნავთობის მრეწველობაში ინგლისელების ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის დასრულებას. თავისი პოზიციების დაცვის მიზნით ინგლისელებმა მიმართეს ყველა საშუალებას. საპასუხოდ გაიშალა გრანდიოზული ანტიინგლისური სახალხო მოძრაობა, მოჰამადრეზა შაჰმა დატოვა ირანი. მარაქაში ჩაება აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური. 1953 წელს გენერალ ზაჰედის ხელით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, დააპატიმრეს მოსადეყი, უცხოეთიდან დააბრუნეს შაჰი. აშშ-ის გადამწყვეტი როლი გადატრიალების მოწყობაში 2000 წლის 17 მარტს დაადასტურა სახელმწიფო მდივანმა ქ-ნმა მადლენ ოლბრაიტმა.

რაც შეეხება ნავთობის მრეწველობას, იქ, და საერთოდ ირანში, პოზიციები მნიშვნელოვნად გააფართოვეს და გაიმტკიცეს შეერთებულმა შტატებმა. შაჰინშაჰური ირანი გახდა მათი სტრატეგიული მოკავშირე და რეგიონში ანტისაბჭოური ჯებირის საიმედო რგოლი (თურქეთი, ირანი, პაკისტანიძ. შაჰს ფაქტობრივად ჩააბარეს სპარსეთის ყურის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეც, ირანმა დაამყარა მჭიდრო საქმიანი კავშირი ისრაელთან. შეერთებული შტატების ენერგიული ძალისხმევის შედეგად ყველა მიმართულებით ძლიერდებოდა მოჰამადრეზა შაჰის პოზიციები, ორგანიზაციულად იხვეწებოდა სახელმწიფო აპარატი და ინტენსიურად იზრდებოდა შეიარაღებული ძალების და სპეცსამსახურების ქმედითუნარიანობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეფორმებსა და ვესტერნიზაციის მსუბუქ ჟანრებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ისეთ მუსლიმანურ ქვეყანაში, როგორც ირანია, გააუქმეს კალენდარი, რომელიც აითვლება 622 წლიდან, როდესაც მოციქული მუჰამედი გადასახლდა მექიდან მედინაში. ირანის საშუალო სტატისტიკურმა მოქალაქემ იგრძნო, რომ კარგავს თვითმყოფადობას და იბრუნა პირი ტრადიციისკენ, რელიგიისკენ.

1978-1979 წწ. ირანის ისლამური რევოლუცია თავისი დინამიურობით, მასშტაბურობით, ხალხის ფართო მასების (11 მილიონიძ თავგანწირული ბრძოლით (დაიღუპა 65 ათასი, დასახიჩრდა 100 ათასი კაციძ შეიძლება შეფასდეს როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ირანელმა ხალხმა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ახალმა სახელმწიფომ გადალახეს მრავალი სიძნელე. აღვნიშნავთ ზოგიერთს: მსხვილი კაპიტალის გატანა დასავლეთის ქვეყნებში, ბიზნესმენებისა და ტექნიკოსების ემიგრაციაში გასვლა, დამხობილი რეჟიმის მომხრეთა, მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტულ დაჯგუფებათა და უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული პერმანენტული ბოიკოტები, საბოტაჟები, ტერორისტული აქტები, იყო არაერთი შემთხვევა, როცა ერთჯერადი ტერორისტული აქციის შედეგად დაღუპულან სახელმწიფოს მაღალი რანგის ხელმძღვანელები, რამდენიმე ათეული მინისტრითა და პასუხისმგებელი მუშაკით ურთ; თავსმოხვეული სისხლისმღვრელი და მომქანცველი 8-წლიანი ომი სადამ ჰუსეინის საბჭოთა კავშირის მიერ კბილებამდე შეიარაღებულ და კარგად გაწვრთნილ სამხედრო მანქანასთან, რომელსაც ფაქტობრივად მთელი დასავლეთი და არაბული სამყარო ეხმარებოდა ალჭურვილობით, ტექნიკით, ქიმიური იარაღით, მრავალმხრივი ინფორმაციით და ფულით; ირანის მრავალმილიარდიან ავუარებზე ყადაღის დადება დასავლეთის (ძირითადად, ამერიკისძ ბანკებში; ეკონომიკური, სამხედრო ბლოკადა და სანქციები; ირანის იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე; სამ მილიონამდე ლტოლვილი ავღანეთიდან, ერაყიდან და მრავალი სხვა.

იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას სრული წარმოდგენა თუ რაზე ვმსჯელობთ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „Times“-ის (31.07.1985ძ მონაცემებით, ერაყთან თავსმოხვეული 8-წლიანი ომის პირველი წლების განმავლობაში (1980-1985 ძ ირანმა 1 მილიონი კაცი დაკარგა. 1979 წლიდან დღემდე ირანის წინააღმდეგ განხორციელებული მისამართიანი და უმისამართო (მაგალითად, მეჩეთებშიძ ტერაქტების რაოდენობა აღემატება 16000.

1979 წ. ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ირანის ბირთვულ პროგრამას პერმანენტულად ექმნება ძნელად დასაძლევი პრობლემები. ირანისთვის თავსმოხვეული ირან-ერაყის ომის (1980-1988ძ მეორე ფაზაში, როდესაც აშკარა გახდა, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ რეჟიმს ვერ დაამხობდნენ, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა ერაყთან ომს არ წააგებდა, იმისათვის რომ რევოლუციური ირანი ომიდან წელშიგაწყვეტილი და დაუძლურებული გამოსულიყო, დღის წესრიგში დადგა მასირებული დაბომბვითა და სარაკეტო დარტყმებით მაქსიმალურალდ ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გამოყვანა მწყობრიდან. იყენებდა რა დასავლური ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ მიწოდებულ ზუსტ ინფორმაციას, ერაყის ავიაციამ 1984-87 წლებში არაერთგზის ძლიერი დარტყმა მიაყენა ირანის ბირთვული პროგრამით გათვალისწინებულ მშენებარე ობიექტებს; დაწესდა არაერთი სანქცია იმ ფირმების მიმართ, რომელთა ინვესტიციები ირანში აღემატება 20 მილიონ დოლარს; დროდადრო სხვადასხვა დონეზე და ექსპერტთა შემადგენლობით განიხილება ირანის ბირთვული დოსიე თანმდევი მუქარებით მკაცრი სანქციების შესახებ და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ ირანი მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე და ყველას ვალია ხელი შეუშალოს მას ამ მიზნის მიღწევაში.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული რელიგიური რეგლამენტაცია ცალსახად უკრძალავს მას იქონიოს მასობრივი განადგურების იარაღი.

მიზანშეწონილად ვთვლით, მკითხველს გავაცნოთ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ,ესტენის მოსაზრება ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა 1998 წელს.

ჟურნალისტი: ხომ არ ეჭვობთ, რომ ირანი ინდოეთსა და პაკისტანს აუბამს მხარს ბირთვულ სრბოლაში“?

ჟისკარ დ,ესტენი: მე არ მგონია, რომ ირანმა ასეთი რამ შემოგვთავაზოს, ირანი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ხოლო რევოლუცია, რომელსაც ამ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი, ფრიად განსხვავდება სხვათაგან, იმიტომ რომ საზრდოობს რელიგიური ასპექტებით“.

„2500 წლის მანძილზე ირანის ისტორიაში პირველად დადგა დრო, როდესაც მას არც იმპერატორი მართავს და არც შაჰი. ეს ახალი ვითარებაა, რომელსაც, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, შეიძლება თან სდევდეს აღმავლობაც და დაღმავლობაც“.

რეგიონში შექმნილ პრობლემების მოგვარების ასპექტით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ირანის ფაქტორს.

2004 წელს პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა პარიზ-თეირანის ურთიერთობა დაახასიათა, „exellent“. მისი სიტყვებით, „ირანი არის საფრანგეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში და ქომაგი რეგიონული სტაბილურობის... თეირანი და პარიზი ზიარად ფლობენ იდენტურ შეხედულებას ბოლო დროს ერაყში განვითარებულ საკითხებზე. საფრანგეთს სწამს, რომ ირანის დამოკიდებულება ერაყის მიმართ ემთხვევა მსოფლიოსა და რეგიონის ქვეყნების ინტერესებს“; ერთი წლით ადრე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომენიკ დე ვილეპენმა ბრძანა: „შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ უგულებელჰყონ ირანის მნიშვნელოვანი სტატუსი რეგიონში და ამ ქვეყნის დიდი პოტენციალი რეგიონული პრობლემების მოწესრიგების საქმეში“.

ისლამური ირანის მისამართით ზოგჯერ გაისმის მუქარა იმის თაობაზე, რომ ძალისმიერი აქციით გაანადგურებენ მის ბირთვულ ობიექტებს. ისეთი კომპეტენტური ექსპერტის აზრით, როგორიცაა ბჟეზინსკი, ასეთი აქცია დასრულდება მასშტაბური გეოპოლიტიკური კატასტროფით.

რა მნიშვნელობა აქვს ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ამუშავებას?

ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ამუშავება (სიმძლავრე 1000 მეგავატიძ, უპირველესყოვლისა ირანის ისლამური რესპუბლიკის ხალხის და მთავრობის დიდი გამარჯვებაა იმ ქვეყნებზე და ძალებზე, რომლებიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველანაირად ხელს უშლიდნენ ამ მიზნის მიღწევაში; ბუშერის ატომური ელექტროსადგურის აშენება ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტის, რომ ისლამური ირანი თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას თავად გეგმავს და მიზანმიმართული იღვწის მის განხორციელებაში და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს ისლამური ირანის მოქალაქეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ხელისუფლებას; ბუშერის ელექტროსადგური პირველი ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯია მომავალი დიდი ბირთვული ენერგეტიკისკენ; ბირთვული ენერგეტიკა კი კიდევ უფრო გაზრდის ირანის როლს რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების დარეგულირებაში, ბუშერის ატომური ელექტროსადგური მოასწავებს ირანის საინჟინრო-ტექნიკური პოტენციალის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას ახლო მომავალში; ბუშერის ატომური ელექტროსადგური მნიშვნელოვნად განამტკიცებს ირან-რუსეთის ურთიერთობას და გააფართოებს თანამშრომლობის არეალს.

ბუშერის ელექტროსადგური ენერგეტიკის სფეროში უდიდესი პროექტია, რომელიც რუსეთის ფედერაციამ ისლამურ ქვეყანაში განახორციელა, რუსეთი თანდათან იბრუნებს ყოფილი საბჭოთა კავშირის პოზიციებს რეგიონში; რუსეთმა ეს პროექტი განახორციელა მძიმე გეოპოლიტიკურ გარემოსა და მრავალმხრივი ზეწოლის პირობებში, როცა მისგან სხვა ნაბიჯებს მოელოდნენ, ირანის ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა სალეჰიმ ხაზგასმით აღნიშნა, „ეს პროექტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ რუსეთმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება“; როგორც აღვნიშნეთ, ბუშერის ელექტროსადგურის აშენება გერმანელმა სპეციალისტებმა დაიწყეს, ხოლო რუსებმა დაამთავრეს, მათ გადაწყვიტეს ურთულესი საინჟინრო-ტექნიკური ამოცანა – შეაპირისპირეს და გარკვეულწილად შეავსეს ორი განსხვავებული საინჟინრო-ტექნიკური მიმართულების აგრეგატები და კვანძები; პროექტის განხორციელებამ გააბათილა ოპონენტების და სკეპტიკოსების განცხადებები რუსეთის ტექნოლოგიებისა და საინჟინრო კადრების დაბალი დონის შესახებ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 14 მილიონამდე მოსწავლე, 4 მილიონი სტუდენტია, დოქტორანტურაში სწავლობს 60 ათასზე მეტი, რომელთა შორის 60%-ზე მეტი მანდილოსანია. 2009 წლის 10-22 ივლისს ქ. ბრემენში გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ოლიმპიადა მათემატიკაში. შედეგი: 1. ჩინეთი – 6 ოქროს მედალი. 2. რუსეთი 5 ოქროს, 1 ვერცხლის მედალი, 3. იაპონია – 5 ოქროს, 1 ბრინჯაოს მედალი, 4. ირანი 1 – ოქროს, 4 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი.

პენსიის საშუალო ოდენობა უდრის 460 დოლარს.

ირანში ენერგიულად ვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობქიმია, მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა. ირანული კაპიტალის მონაწილეობით უცხოეთში შეიქმნა სიმძლავრეები, რომლებიც უშვებენ ირანის საავტომობილო მრეწველობის სიამაყეს საშუალო კლასის „სამანდს“: 2006 წლიდან სირიაში, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში, 2007 წლიდან ვენესუელაში, 2008 წლიდან ჩინეთში და სენეგალში.

2009 წელს ირანმა ორბიტაზე გაიყვანა თანამგზავრი, ხოლო 2010 წელს გახდა ბირთვული ენერგეტიკის მქონე ქვეყნების კლუბის წევრი.

როგორც ჩანს ჩვენ მოწმენი ვხდებით სარბიელზე რეგიონული ზესახელმწიფოს გამოჩენის.

> **წინამძღოლის, საწინამძღოლო საბჭოს წევრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრების, მათი მეუღლეებისა და შვილების ქონება სამსახურის დაწყებამდე და მისი დანებების შემდეგ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მიერ აღრიცხული უნდა იქნეს, რათა კანონით დადგენილზე მეტი ქონება არ დააგროვონ.**
>
> **ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 142.**

**ჯემშიდ გიუნაშვილი,**
პროფესორი

შვილიშვილის სარჩელი

იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

ორშაბათს ს. სტიგინმა თავად მოთხოვა არქივს და, ცოტა დაგვიანებით, სამშაბათს მოიტანა სასამართლოში ყველა „დოკუმენტის“ ასლი №1 პაკეტიდან. თუმცა, ამ დროისათვის მოპასუხეებმა, როდესაც გადატვირთეს სასამართლო თავისი დადასტურებებით ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებიდან (და არა 1955 წლის დროისა?ძ და სხვა მაკულატურით, მაინც გადაწყვიტეს შეეთავაზებინათ სასამართლოსთვის ოთხი დოკუმენტის ასლი, რომლებიც მოპასუხეებს მიაჩნდათ ყველაზე უტყუარად. მაგრამ სტრიგინმა უკვე მოიტანა ერთად შეკერილი და არქივის დამოწმებული მთელი პაკეტი, და ჩვენ შევთავაზეთ ისინი სასამართლოს, და სასამართლოც იძულებული იყო ეს გაეკეთებინა – ხომ არ შეეძლო მას მიეერთებინა საქმისთვის მოპასუხეების შემოთავაზებული ნახევარი კომპლექტი, როდესაც მოსარჩელეები სთავაზობდნენ მთელ კომპლექტს... შედეგად საქმეში აღმოჩნდა ყველა ერთად. და როგორც კი ისინი აღმოჩნდა საქმეში, როგორც დადასტურება, სტრიგინმა წაიკითხა ჩვენგან მომზადებული განცხადება.

„პატივცემულო სასამართლოვ! დადასტურებანი, რომელსაც ემყარებიან მოპასუხეები, სადავო სტატიაში და რომელთა ნაწილის შესახებაც ისინი ითხოვდნენ სასამართლოს მოეთხოვა არქივიდან თავისი სიმართლის დადასტურების სახით, – ეს არის ერთგვარი ნაკრები თითქოსდა ნამდვილი დოკუმენტისა „ბერიას წერილის“ სახით, ორი გვერდით პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან, ორი ამონაწერი პოლიტბიუროს გადაწყვეტილების ოქმიდან და „შელეპინის წერილები“ ეგრეთ წოდებული №1 დახურული პაკეტიდან კატინის შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი ყალბია.

რუსეთის ფედერალური საარქივო სამსახურის ხელმძღვანელმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. კოზლოვმა დაწერა წიგნი ყალბი ისტორიული დოკუმენტების გამოაშკარავების შესახებ „მოტყუებული, მაგრამ მოზეიმე კლიო“, რომელშიც, კერძოდ, გვაცნობებს, რომ სსრ კავშირის დანგრევის შემდეგ რუსეთის არქივებიდან ნაკადებად წამოვიდა ყალბი დოკუმენტები. სასამართლოს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ, რომ დღეს სიყალბენი რუსეთის არქივებიდან – სავსებით ჩვეულებრივი ამბავია. დროის მიხედვით უკანასკნელი ასეთი სიყალბე, რომელმაც ფართო გამოხმაურება მოიპოვა – ეს არის ნამდვილი „ქობულოვის საქმე“ № 725 მ, 1941 წლის 24 მარტი, გამოაშკარავებული 2008 წლის 20 სექტემბერს „კომსომოლსკაია პრავდის“ მიერ (დანართი 1ძ.

მაგრამ ჩვენ გვინდა აგრეთვე მივაპყროთ სასამართლოს ყურადღება, თუ როგორ ააშკარავებენ კერძოდ ყალბ ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც შექმნილია ტექნიკური საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის საშუალებით.

კოზლოვი წერს:

*„შეიძლება ითქვას, რომ სიყალბე ყოველთვის იქცევა ფონად თავისი შინაარსის შეუსაბამისობით წარსულის ნამდვილ ფაქტებთან, რომლებიც ცნობილია ნამდვილი წყაროებიდან, გარეგნული სადავო ნიშნებით, კამუფლაჟის გაურკვევლობით, არაერთმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი რეაქციით ლეგალიზაციაზე. ასეთი „ფონის“ არსებობა სიყალბის ერთ-ერთი ნიშანია. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ეს „ფონია“ სიყალბის ძირითადი დადასტურება, ვინაიდან ჩვენთვის არ არის არც ერთი შემთხვევა, რომ ფალსიფიკაციის ავტორი აღიარებდეს დაშვებულ სიყალბეს“.*

თავის წიგნში კოზლოვი იძლევა სიყალბის გამოაშკარავების კონკრეტულ მაგალითს იმის შესახებ, რომ თითქოს სსრ კავშირი ბალტიკაში ძირავს მომწამლავ ნივთიერებებს. კოზლოვი წერს:

*„ცნობის“ ქსეროასლი ოფიციალურად გაიგზავნა რუსეთის არქივში ექსპერტიზისთვის. ექსპერტიზა მოაწყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივის ყოფილმა თანამშრომლებმა, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში საქმე ჰქონდათ დოკუმენტებთან, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში რომ იქმნებოდა და კარგად იცნობდნენ საქმის წარმოების წესებს. უკვე 1993 წლის 23 თებერვალს მათ მოამზადეს „ცნობის“ საქმის წარმოების ექსპერტიზის აქტი, რომელმაც უზადოდ დაადასტურა მისი ფალსიფიცირებული ხასიათი. აქტის თანახმად, ფალსიფიკატორმა დაუშვა სულ ცოტა შვიდი შეცდომა, როდესაც სიყალბეს ამზადებდნენ. ჯერ ერთი, შინაარსის მიხედვით დოკუმენტს უნდა ჰქონოდა საიდუმლოების უმაღლესი გრიფი – „განსაკუთრებული საქაღალდე“ და არა „სრულიად საიდუმლო“. მეორე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმის წარმოებაში არასოდეს იყენებდნენ საქმის წარმოების ნომერს, ისეთს, როგორიც აქვს „ცნობას“. მესამე, ფორმულას „ცნობა წერილთან“ არასოდეს იყენებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. მეოთხე, არასარწმუნო აღმოჩნდა თანამდებობებისა და ხელმოწერების მინიშნებანი. 1989 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში არ ყოფილა „საორგანიზაციო“ განყოფილება და „თავდაცვის მუშაობის განყოფილება“, არამედ იყო შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო მუშაობის განყოფილება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვის განყოფილება. დასახელებულ განყოფილებებში, 1989 წელს საერთოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში, არც მაიდანიკოვი და არც პისმენნიკი არ მუშაობდნენ. მეხუთე, გამოქვეყნებული დოკუმენტის შინაარსი არ შეესაბამებოდა მის სათაურს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მას უნდა გაეცნობოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მაშასადამე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წესების თანახმად, უნდა ჰქონებოდა ადრესატი – სკკპ ცენტრალური კომიტეტი“. მეექვსე, როდესაც დოკუმენტს აყალბებდა, მისი ავტორი (ან ავტორებიძ აღმოჩნდა უყურადღებო: ტექსტში ორჯერ გაიპარა „მიმაჩნია არა მიზანშეწონილად“, მაშინ როდესაც დოკუმენტის ქვეშ არის ორი განყოფილების ხელმძღვანელების ხელმოწერები. მეშვიდე, დოკუმენტის ერთი ფრაზა: „მომზადდეს ცნობა-გეგმა... საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოხსენებისთვის..“ სრულიად არ შეესაბამებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის არც საქმის წარმოების პრაქტიკას, არც იქ დამკვიდრებულ ფორმულებს: „ცნობა-გეგმა“, როგორც დოკუმენტის სახეობა, საერთოდ არ არსებობდა როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაშლილი აბრევიატურა“.*




მივაპყრობთ სასამართლოს ყურადღებას, რომ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ქაღალდის მოძველება, ხელმოწერებისა და ბეჭდების სიზუსტე „დოკუმენტების“ სიყალბის განსაზღვრის დროს, რომლებიც თითქოსდა არქივში აღმოჩნდა, სიყალბის დადგენის სპეციალისტს კოზლოვს არ განუხილავს, ვინაიდან ამ ნიშნებით ხარისხიანად შესრულებულ სიყალბეს ჩვეულებრივი ექსპერტი – კრიმინალისტი არ არჩევს. ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების დღევანდელი დონის დროს შეიძლება შექმნა ხელმოწერაც, რომელსაც ვერავინ გაარჩევს ნამდვილისგან, ხელოვნურად დააძველო ქაღალდიც, დასვა დოკუმენტზე ნებისმიერი ბეჭდისა და შტამპის ამონაბეჭდიც. ისტორიული დოკუმენტების სიყალბე ვ. კოზლოვის ნაშრომში განსაზღვრულია მხოლოდ ტექსტების შეუსაბამობით იმ ეპოქის საქმის წარმოების წესებთან პლუს ავტორი ლოგიკურად მიუთითებს დოკუმენტის ტექსტის ნამდვილ ისტორიულ ფაქტებთან შედარების აუცილებლობაზე.

ახლა კი პატივცემულ სასამართლოს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს იმას, რამდენი საქმის წარმოებისა და ისტორიული სიყალბის ნიშანია იმ დოკუმენტებში, რომლებსაც მიუთითებენ მოპასუხეები როგორც თავიანთ მთავარ დადასტურებას სტალინის ბრალეულობასთან დაკავშირებით პოლონელთა დახვრეტაში.

უფრო მოხერხებული რომ გავხადოთ, დავაჯგუფებთ სიყალბის ნიშნებს განყოფილებათა მიხედვით და დავიწყებთ პირდაპირ გაყალბების მითითებით, რაც საერთოა ყველა დოკუმენტისთვის შენახვის ადგილის, აღმოჩენის საეჭვო ვითარებისა და ლეგალიზაციის თვალსაზრისით.

**განყოფილება I. შენახვის ადგილი, აღმოჩენისა და ლეგალიზაციის ვითარებანი**

1. არ არის გარკვეული № 1 „დახურული პაკეტის“ დოკუმენტების არც საარქივო შენახვის ადგილი 1991 წლის დეკემბრამდე, არც სსრ კავშირის პრეზიდენტის არქივის თანამშრომელთა მიერ მათი „სასწაულებრივი აღმოჩენის“ ვითარებანი.

მ. გორბაჩოვი ამტკიცებს, რომ 1991 წლის დეკემბრამდე მას ის დოკუმენტები არ უნახავს, პოლიტბიუროს ორ „დახურულ პაკეტში“ კატინის საქმესთან დაკავშირებით ინახებოდა სრულიად სხვა დოკუმენტები – კატინის დახვრეტაში გერმანული მხარის ბრალეულობის შესახებ. და გორბაჩოვის სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტიდან წასვლამდე სულ რამდენიმე დღეში 1991 წლის 21 დეკემბერს არქივის მუშაკებმა, თითქოსდა თავიანთი ინიციატივით, გადასცეს მას პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის გრიგორი რევენკოს მეშვეობით საქაღალდე აღმოჩენილი დოკუმენტებით. („ჟიზნ ი რეფორმი“, წ-2, მ. 1995. გვ. 348-349ძ.

ა. იაკოვლევი წიგნში „ბინდბუნდი“, აგრეთვე სტატიებსა და გამოსვლებში არაერთგზის ამტკიცებდა, რომ 1991 წლის 24 დეკემბრამდე მასაც ეს დოკუმენტები არასოდეს უნახავს. ამას გარდა, იაკოვლევმა გვაცნობა ასეთი მნიშვნელოვანი დეტალიც: გორბაჩოვისთვის იმ დღეს გადაცემულ საქაღალდეში დოკუმენტებით კატინის შესახებ იყო აგრეთვე ვინმე „სეროვის წერილი“. მაგრამ № 1 „დახურული პაკეტის“ დოკუმენტების საარქივო ჩამონათვალში, რომელიც 1991 წლის 24 დეკემბერს გადაეცა გორბაჩოვისგან ელცინს, ეს წერილი არ არის.

მოპასუხე ჩვენს საქმესთან დაკავშირებით ა. იაბლოკოვი თავის წიგნში „კატინის სინდრომი...“ 386-ე გვერდზე ამტკიცებს: *„1992 წლის ივლისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი ხელმძღვანელი ი. ვოლკოვი, პრეზიდენტის მრჩეველი დ. ვოლკოგონოვი, მთავარი არქივისტი რ. პიხოია და არქივის დირექტორი ა. კოროტკოვი განიხილავდნენ სრულიად საიდუმლო მხარეებს. 24 სექტემბერს მათ გახსნეს № 1 „განსაკუთრებული პაკეტი“.*

ესე იგი ვიღაც ცრუობს – ან გორბაჩოვი იაკოვლევთან ერთად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დოკუმენტები ინახებოდა გორბაჩოვთან და 1991 წლის ზამთრის დასაწყისში იგი ამ უკანასკნელმა გადასცა ელცინს იაკოვლევის თანდასწრებით, ან არქივის მუშაკები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს პაკეტი მათ მხოლოდ 1992 წლის შემოდგომაზე აღმოაჩინეს. თუმცა ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ ცრუობენ ისინიც, – არც ერთ არქივში ეს დოკუმენტები არ ყოფილა – ისინი შეთითხნეს, თუმცა ვერ შეძლეს მოეფიქრებინათ ერთიანი ლეგენდა და აეძულებინათ საქმის ყველა ფიგურანტი შეესწავლათ ეს ლეგენდა, განსაკუთრებით დიდი უფროსები. ამიტომ არის, რომ ყველა მათგანი ცრუობდა იმით, რაც დაამახსოვრდა.

2. პირველად ეს დოკუმენტები შემოიტანეს ბრუნვაში 1992 წლის შემოდგომაზე საკონსტიტუციო სასამართლოზე, როგორც სკკ პარტიის ბრალეულობის დადასტურება კატინის საქმეში, მაგრამ მოსამართლეების მიერ მათი ზედაპირული დათვალიერების დროს გაიხსნა ამ დოკუმენტების სიყალბე. შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ თავის შემაჯამებელ დადგენილებაში არც კი მოიხსენია ბრალდების ეს ეპიზოდი.

3. სიყალბის შესახებ მეტყველებს ისიც, რომ ეს მართლაც სენსაციური „დოკუმენტები“ უმალვე არ წარუდგინეს რუსეთის საზოგადოებრიობას მათი აღმოჩენის შემდეგ, თუმცა მთელი პრესა ავსილი იყო ციტატებით ამ დოკუმენტებიდან. საკონსტიტუციო სასამართლოში ფიასკოს შემდეგ ზოგიერთი ამ დოკუმენტის ტექსტი გამოაქვეყნეს 2 წლის შემდეგ, და არა ცნობილ ისტორიულ გამოცემებში, არამედ შემოგდებულ, თითქოს პერიოდულ გამოცემაში – ჟურნალში „ვოენნიე არხივი როსიი“. ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ, რომელშიც დაიბეჭდა – რუსეთის არქივის სხვა ნამდვილ დოკუმენტებთან ერთად – ნაყალბევის ნაწილი, ეს ჟურნალი რედაქციასთან ერთად სადღაც გაქრა უკვალოდ.

4. „დოკუმენტების“ ამ პირველ პუბლიკაციაში გამომქვეყნებლებმა, წესის საწინააღმდეგოდ, არ მიუთითეს ამ დოკუმენტების საქმის წარმოების ის თავისებურებანი, რომლებიც პირდაპირ ადასტურებდნენ მათს სიყალბეს, ესე იგი თავად გამომქვეყნებლებმა იცოდნენ, რომ სიყალბეს აქვეყნებდნენ.

5. ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ 1993 წლის პირველმა ნომერმა, რომელშიც, პირველად რუსეთში, აღწერილი იყო ეს „დოკუმენტები“, ხუთი დოკუმენტიდან აღწერა მხოლოდ სამი, მაგრამ ასეთი შემოკლების დროსაც კი ეს ნომერი 1995 წლამდე არ მიუღიათ არც ხელმომწერებს, არც ბიბლიოთეკებს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-167.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*20 ივნისს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხან ალიევის საქართველოში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება, წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ საქართველო და აზერბაიჯანი უნდა გადავიდნენ კონფედერაციულ ურთიერთობებზე, ვინაიდან საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობანი უფრო მეტია, ვიდრე სტრატეგიული ურთიერთობანი. რამდენიმე ხნის შემდეგ სააკაშვილის ეს აზრი გახმაურდა ბათუმში, მთავრობის სხდომაზე. იმ დროს ამ განცხადებას თითქოსდა არავინ აქცევდა სერიოზულ ყურადღებას, რაზეც მეტყველებდა ოფიციალური გამოხმაურების უქონლობა, და აღფრთოვანება თითქოს მინელდა კიდეც. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ თემას კვლავ შეეხნენ. ამის შესახებ ალაპარაკდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე. თანაც კალანდაძის განცხადება მოჰყვა ხელშეკრულების ხელმოწერას სომხეთში რუსეთის ბაზების ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ.*

*სხვათა შორის, თუ მიხეილ სააკაშვილი თავის გამონათქვამებში საუბრობდა მხოლოდ ზოგად დებულებებზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე — უკვე საუბრობს იურიდიული აქტების დამუშავების შესახებ. და მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ამ საუბრებს არასერიოზულად მიიჩნევენ, მაინც ჩნდება საკითხები — ამ ინიციატივის ავტორები მართლა საქართველოს პრეზიდენტი იყო, თუ ეს საუბარი გარედან იყო ნაკარნახევი — რაღაც განწყობილებათა ნიადაგის მოსაძებნად? რით შეიძლება დაემუქროს ეს სომხეთს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთი (მთიან ყარაბაღთან ერთად) არის კონფლიქტში აზერბაიჯანთან, საქართველოში კი გვაქვს ჯავახკი.*



# საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაცია: რეალობაა თუ ინფორმაციული სატყუარა?

ნაიდან ასეთი კონფედერაციის ჩამოყალიბებისთვის არ არსებობს არავითარი საფუძველი, თუ, რასაკვირველია, არ წარმოიქმნება რაიმე გარეშე იმპულსები. მაგალითად, თუ დასავლეთის მფარველობის ქვეშ წარმოიქმნება ერთგვარი ალიანსი, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის წინააღმდეგ და თუ აზერბაიჯანულ და ქართულ პოლიტიკურ ელიტას გაუჩნდება ერთნაირი მისწრაფება კონსოლიდაციისკენ ერთიანი მტრის წინააღმდეგ. მაგრამ სააკაშვილისა და ალიევის მისწრაფებას მრავალვექტორიანი პოლიტიკის საკითხში აქვს პრინციპული განსხვავება, მაშასადამე, არა პოლიტიკური ელიტის დონეზე, არა საზოგადოების დონეზე", — თქვა ალექსეი ვლასოვმა.

რუსი პოლიტოლოგის სიტყვებით, დიდი მნიშვნელობა აქვს გადაუწყვეტელი კონფლიქტების არსებობას, საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც. „მხედვე-

რომ ასეთი განცხადებები მოწმობენ: „ეკონომიკური ურთიერთობანი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის იმდენად მტკიცეა, რომ ეს შეიძლება გადაიზარდოს ერთობლივ კავშირში".

### შეხედულება სომხეთიდან

ძნელია წარმოიდგინო, როგორ შეუძლია არადემოკრატიულ აზერბაიჯანს ითანამშრომლოს დემოკრატიულ საქართველოსთან თანაბარი უფლებებით.

ერთ-ერთმა სომეხმა ექსპერტმა, რომელმაც არ ისურვა, რომ იგი წარგვედგინა მკითხველისთვის, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ეს განცხადებები „გარკვეული თვალსაზრისით მიმართულია სომხეთის მხარისკენ", — ვინაიდან უკვე დიდი ხანია, რაც სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეინიშნება ერთგვარი გამწვავება. ექსპერტის აზ-

### შეხედულება თურქეთიდან

ანკარა ხელს უწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობათა გაღრმავებას, მაგრამ ეს გაღრმავება კონფედერაციამდე არარეალურია.

თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული ანალიზის დირექტორმა სინან ოგანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ არ შეიძლება დავივიწყოთ — კონფედერაციის საკითხი პირველად სწორედ საქართველოს მხარემ დააყენა, ეს კი მოწმობს ზოგიერთი ფაქტორის არსებობის შესახებ.

საქართველოს ამ მომენტისთვის დიდი პრობლემები აქვს რუსეთთან და იმყოფება ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაში, მხედველობაში მაქვს ნავთობი, გაზი და ა.შ. აზერბაიჯანს კი, პირიქით, ეს ყველაფერი აქვს. ამასთანავე ეს ქვეყნები კარგი მოკავშირეები არიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქმე ამის იქით არ წავა, მათ შეიძლება განამტკიცონ თავიანთი ურთიერთობანი როგორც სტრატეგიულმა პარტნიორებმა, მაგრამ არ ვფიქრობ, შედეგად ჩამოყალიბდეს კავშირი ან კონფედერაცია. ამას გარდა, არ ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანი დათანხმდება ასეთ ნაბიჯზე. ვინმე შეიძლება გახდეს ასეთი იდეის ავტორი, შეიძლება განიხილოს კიდეც, მოაწყოს კონფერენციები, რაიმე სამეცნიერო ღონისძიებანი და ა.შ. მაგრამ მეტი არაფერი. არ ვფიქრობ, რომ მიღებული იქნება სერიოზული ღონისძიებანი სახელმწიფო დონეზე, ამისთვის პერსპექტივებს ვერ ვხედავ", — განაცხადა სილვან ოგანმა.

თურქი ექსპერტის სიტყვებით, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ აზერბაიჯანს არ სჭირდება დამატებითი პრობლემები. „ბოლოს და ბოლოს, რისთვის უნდა მას დამატებითი პრობლემები? საქართველოს აქვს პრობლემები რუსეთთან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო, ხოლო თუ მართლა შეიქმნება კონფედერაცია, გამოვა ისე, რომ აზერბაიჯანსაც აქვს პრობლემები რუსეთთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო", — თქვა ოგანმა.

მისი სიტყვებით, ოფიციალური ანკარის მხრიდან დუმილი ამ საკითხზე დაკავშირებულია იმასთან, რომ ანკარა უბრალოდ სერიოზულად არ ეკიდება ამ საქმეს. „თურქეთი, რასაკვირველია, ხელს უწყობს ურთიერთობის განმტკიცებას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, მაგრამ განმტკიცება კონფედერაციამდე არარეალურია. თურქეთსა და რუსეთს შორის ჩამოყალიბდა საკმაოდ წარმატებული ურთიერთობანი. ხოლო თუ შეიქმნება ასეთი კავშირი, გაჩნდება საკითხი — როგორ წავა თურქეთის ურთიერთობანი რუსეთთან. თურქეთი მხოლოდ ხელს უწყობს ყველა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ცალკეული რესპუბლიკების მთლიანობას, და არა კონფედერაციული რესპუბლიკების მთლიანობას", — დაასკვნა სინამ ოგანმა.

### შეხედულება რუსეთიდან

კონფედერაციის ჩამოყალიბებისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუ რასაკვირველია, ამისთვის არ წარმოიქმნება საგარეო იმპულსები.

რუსი პოლიტოლოგი ალექსეი ვლასოვი ინფორმაციას აზერბაიჯანი-საქართველოს კონფედერაციის შექმნის შესახებ მიიჩნევს ბოდვად. „გარდა იმისა, რომ ეს ინფორმაცია მთლიანად ბოდვაა, ეს აგრეთვე არის ბოდვა მისი რეალიზაციის თვალსაზრისითაც, ვი-

ლობაში მაქვს მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. რატომ უნდა ჰქონდეთ ბაქოსა და თბილისს იმის სურვილი, რომ გაზარდონ რისკები და იკისრონ აგრეთვე მეზობლების პრობლემებიც იმ შემთხვევაში, როდესაც თავად მათ თავიანთი პრობლემებიც ვერ გადაუწყვეტიათ"?, — კითხულობს რუსი პოლიტოლოგი.

ის აგრეთვე გვახსენებს, რომ პროექტის შესახებ პირველად საუბარი დაიწყეს ჯერ კიდევ 1998 წელს. მაგრამ მაშინ საკითხი შეეხებოდა საერთო სამხრეთკავკასიურ კონფედერაციას, „რომლის შექმნაც დასავლეთის მფარველობის ქვეშ თითქოსდა შეარბილებდა სიტუაციის დაძაბულობას გადაუჭრელ კონფლიქტებთან დაკავშირებით. „მაგრამ გავიდა 12 წელი და ამჟამად უკვე სხვა სიტუაციაა, არსებობს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა ახალი ფორმატი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ იდეას აზერბაიჯანის მხრიდან რეაქცია არ მოჰყვება, ვინაიდან ბაქო ამჟამად სხვა საკითხებით არის დაინტერესებული და ვერ ვხედავ, თუ რას მოიგებს ილხან ალიევი საქართველოსთან ამ სავარაუდო ალიანსით.

### შეხედულება საქართველოდან

მიუხედავად ამ იდეის უპერსპექტივობისა, ის შეიძლება გახდეს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ნათელი მაგალითი ყველაზე მაღალ დონეზე.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის საქართველოს ფონდის დირექტორი ალექსანდრე რონდელი დარწმუნებით ამბობს: „სისულელეა განაცხადო, რომ ეს თვალსაზრისი ნაკარნახევია გარედან". ამავე დროს რონდელს მიაჩნია,

რით, ყველაფერი დაიწყო რამდენიმე თვის წინათ — გერმანიაში კონრად ადენაუერის სახელობის ფონდში სერჟ სარქისიანის გამოსვლის შემდეგ. იქ სომხეთის პრეზიდენტმა გამოთქვა ნეგატიური აზრი ნავთობსადენ ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით, და ამან ქართული მხარე აალელვა. მეორე პრობლემა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაში წამოიჭრა სომხეთის დელეგაციის მეთაურის ვაან ოვანისიანის ცნობილი გამოსვლის შემდეგ „ევრანესტში" (პარლამენტთაშორისი ასამბლეა „აღმოსავლური პარტნიორობა"ძ. მაშინ მან ბრალი დასდო ქართველებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევაში. ექსპერტის აზრით, ამ ფაქტმა დიდად შეაშფოთა ქართველები, რომლებიც ყოველთვის აცხადებდნენ — „ჩვენ დამოუკიდებლად შეგვიძლია გადავჭრათ ჩვენი პრობლემები ყველა მეზობლებთან" — ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება აღაშფოთა იმან, რომ სომხეთის მხარემ დააყენა საკითხი თავის უმცირესობათა შესახებ ევროპულ ინტეგრაციაში. დღეს ამ გამწვავებას დაემატა უკანასკნელი შეთანხმება სომხეთსა და რუსეთს შორის, და ეს გახდა დამატებითი საფუძველი შეშფოთებისთვის საქართველოში.

ყოველივე ამან, როგორც ექსპერტს მიაჩნია, გამოიწვია ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენა ასეთი სააგიტაციო მეთოდი. „სააგიტაციო ელემენტი აქ ასრულებს დიდ როლს, ვინაიდან ცხადია, რომ ასეთი ალიანსი არ შეიძლება არსებობდეს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ამ ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკური სისტემებია".

Ժամանակ

სომხეთი

# კონდოლიზა რაისი სააკაშვილს მოულოდნელად გაექცა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ექს-ხელმძღვანელმა კონდოლიზა რაისმა, რომელიც საქართველოში 2 დღით ჩავიდა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელშიც, ორგანიზატორების ჩანაფიქრით, მონაწილეობა უნდა მიეღოთ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს, მოულოდნელად დატოვა რესპუბლიკა. ამის შესახებ გვითხრეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში**

კონფერენციის — „გლობალური გამოწვევანი მსოფლიოს პოსტგარდაქმნით ეპოქაში" — დაახლოებით 150 მონაწილე ჩავიდა ბათუმის ნავსადგურში საკრუიზო ხომალდ „სილვერ უინდით". იქიდან ხანმოკლე შესვენების შემდეგ ისინი უნდა წასულიყვნენ თბილისში, მაგრამ მათ რიგებში მყოფი კონდოლიზა რაისი ყოველგვარი განმარტების გარეშე, დაემშვიდობა მასთან ერთად ჩამოსულ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ექს-მინისტრს უილიამ პერის და მოულოდნელად დუბლინში გაფრინდა.

„რაისის მოქმედებამ საქართველოს ხელმძღვანელობაზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა", — განაცხადა ერთ-ერთმა ქართველმა დიპლომატმა. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, ირლანდიის დედაქალაქში ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს ელოდა გოლფის თამაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რაისის ვიზიტის პროგრამა იყო ვრცელი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი უნდა შეხვედროდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ სიმპოზიუმის მონაწილეები იმყოფებიან საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით და არ არის აუცილებელი შეხვედროდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს.

კონდოლიზა რაისი არ აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც მოულოდნელად შეცვალა თავისი გეგმები. სიმპოზიუმის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მასში მონაწილეობაზე უარი თქვა სსრ კავშირის ექს-პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა, რომელმაც ასევე არ განმარტა თავისი გადაწყვეტილება.

ღონისძიებაზე დარჩენილთა შორის შეიძლება დავასახელოთ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ჯიმ მარშალი, ჯეინ გერმანი და პიტერ ველჩი, აგრეთვე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები — ჩარლზ დენტი და სინტიუ ლუნისი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

ნიკოლაი ფადეევი, ვრემია ნოვოსტეი.

## დედამიწის ზურგზე



**ბელარუსის ოპოზიცია ელოდება „განტვირთვას" რუსეთთან — უკვე ულუკაშენკოდ**

სამშაბათს გამოცხადდა ბელარუსის პრეზიდენტის არჩევნების ვადა. იგი გაიმართება 12 დეკემბერს. პირველად სახელმწიფოს მეთაურის არჩევნების წინ ურთიერთობა ოფიციალურ მინსკსა და კრემლს შორის არის გაუარესებული. რეჟიმის შეცვლას ელოდება არა მხოლოდ ოპოზიცია. მას მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის 51 პროცენტი.

* * *

**საფრანგეთი ერთი დღე-ღამის განმავლობაში პარალიზებულია გაფიცვებით: გადაიდო ავიარეისები საერთაშორისო აეროპორტებში**



პროფკავშირები, ოპოზიცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და სახელმწიფო სექტორის მუშაკები პროტესტს აცხადებენ მთავრობის მიერ შემოთავაზებული საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს პენსიაზე გასვლის ასაკის ამაღლებას 60-დან 62 წლამდე. ელოდებიან, რომ სერიოზული პრობლემები გაუჩნდება მათ, ვინც სამუშაოზე მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

* * *

**აშშ-ში თვითმფრინავი ჩამოვარდა საცხოვრებელ რაიონში: დაიღუპა 1, დაიჭრა 3 კაცი**



ერთბორტიან თვითმფრინავში იმყოფებოდა 2 მამაკაცი და 2 ქალი. დაცემამდე თვითმფრინავი დაეჯახა 2 ბეტონის კედელს, შუქნიშანსა და ხეს.

* * *

**ტონი ბლერმა მემუარებში დაწერა იმის შესახებ, თუ პუტინი პროდასავლური დემოკრატიდან რატომ გარდაიქმნა ნაციონალისტად**

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის აზრით, თავისი საპრეზიდენტო კარიერის დასაწყისში პუტინი ისწრაფოდა დემოკრატიისკენ, ამ სიტყვის დასავლური გაგებით, და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოებისკენ, მაგრამ მოგვიანებით გაიბუტა, ამერიკელებმა მას ძალიან მცირე როლი გამოუყვეს მსოფლიო არენაზე და გადავიდა ნაციონალისტურ პოზიციებზე.



ჩვენი ბიბლიოთეკა

– დიახ, თავს ულირსად მივიჩნევ... სულიერი ძებნა-ძიება, ვგონებ, სხვათა საქმეა და არა ჩემნაირთა. ჩემზედ ბევრად უკეთესთა საქმეა..

– ეგეთნი – უკეთუ საერთოდ არსებობენ – არავითარ ძებნა-ძიებას არ საჭიროებენ. თითოეული მათგანი თვითონ არის სულის განსახიერება. ძებნა-ძიება ასეთ ადამიანთა ხვედრია, მე და შენ რომა ვართ.

„მე და შენო“, – თქვა მან. მაგრამ რა დალევს იმ მანძილს, ამ კაცისგან რომ აშორებს!

– მთვარის ტრადიციითაც და მზის ტრადიციითაც ღმერთი ცათა შინა სუფევს, – თქვა ბრიდამ იმ გაგებით, რომ ტრადიცია ტრადიციაა, სხვადასხვაგვარია მხოლოდ ამ ტრადიციის შესწავლის ხერხები – მაშ, მასწავლე ლოცვა. დაიდე მადლი.

მოგვმა ჩამავალი მზისკენ მიაბრუნა თავი, თვალები დახუჭა.

– ჩვენ უბრალო მოკვდავი ხალხი ვართ და არ ვუწყით უფალო, სიდიადე შენი. გარდმოგვივლინე თვინიერება შენთვის იმის სათხოვნელად, რაიცა ჩვენ გვეჭირვება, რამეთუ არცრა გულისთქმაა აროდეს არად მისაჩნევი, არცა კიდევ ნუკვა და მუდარა – ფუჭი. ყოველმა უწყის, რით უნდა ისაზრდოოს სული. მოგვმადლე იმის ფიქრის გულოვნობა, რომ თითოეული ჩვენი გულისთქმა შენი სიბრძნის წყაროდან წარმოდინდება. ოდენ ამა გულისთქმათა ჩვენად დაგულვება შეგვაძლებინებს იმის გაგებას, თუ მართლაც რანი ვართ ჩვენ, უფალო. ამინ!

– ახლა შენი ჯერია, – თქვა მოგვმა.

– უფალო, ისე ქმენ, რომ მესმოდეს და გამეგებოდეს: ყოველივე კარგი, რაც რამ ჩემს ცხოვრებაში ხდება, იმიტომ ხდება, რომ ვიმსახურებ. ისე ქმენ, რომ მესმოდეს და გამეგებოდეს: შენი ჭეშმარიტების საძიებლად იგივე ძალა მასხამს ფრთებს, ოდესღაც წმინდანთ რომ აფრთიანებდა. და სუყოველი ჩემი მძლეველი ეჭვი იმა ეჭვთა თანაბუნებისაა, ოდესღაც რომ სძლევდნენ ჩემგან ხსენებულ წმინდანთ. და სუყოველი სისუსტე, რაც კი მე მახასიათებს, ოდესღაც იმავე წმინდანთ რომ ახასიათებდათ. მშვიდად შემარიგე, უფალო, იმ მდგომარეობას, რომ მე არცრით არ განვსხვავდები სხვათაგან. ამინ.

ისინი მდუმარედ ისხდნენ და ჩამავალ მზეს მანამ უჭვრეტდნენ, სანამ მზის სხივთა უკანასკნელი ათინათი ღრუბლებში არ ჩაქრა. როგორც ერთის, ისე მეორის სული ცად აღავლენდა ლოცვას, ორივენი რაღაცას ითხოვდნენ და მადლიერნი იყვნენ, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ მოუწიათ ყოფნა.

– მოდი აქაურ ბარში ჩავიდეთ, – შესთავაზა მოგვმა.

ბრიდამ ფეხთ ჩაიცვა, და ისინი დაბლა სოფლისკენ დაეშვნენ. ყმაწვილქალს კვლავ წამოაგონდა ის დღე, როცა პირველად წამოვიდა მთებში ამ კაცის საძებნელად და გულში თავის თავს აღუთქვა, რომ ცხოვრებაში ამ ამბავს კიდევ მხოლოდ ერთხელ მოჰყვებოდა; ახლა უკვე აღარ იყო იმის საჭიროება, რომ კვლავინდებურად ერწმუნებინა თავისი თავი გადახდენილის სიმართლეში.

მოგვი უცქეროდა, როგორ მიუგოგმანებდა წინ ყმაწვილქალი, რომელსაც ძალიან უნდოდა იმის ჩვენება, რომ არცრად ლიჭყი მიწა არ მიაჩნდა და არცრად კიდევ ქვა-ღორღი. თუმცაღა ხან სად წაიბორძიკებდა ხოლმე და ხან სად. მოგვი თითქოსდა ცოტა კი მომხიარულდა, მაგრამ მალევე გაფაციცდა, ყურადღება დაძაბა.

რამეთუ იცოდა: ღვთის ლოცვა-კურთხევა ხანისად ფანჯრის მინებს გვიმსხვრევს და ისე შემოგვიფრინდება ხოლმე.

„რა კარგია, რომ ბრიდა გვერდით მყავს“, – ფიქრობდა მოგვი, სანამ ისინი მთის კალთას ქვევით ჩამოსდევდნენ. მერე რა, რომ მოგვია, ესეც ისეთივე ადამიანია, როგორიც ყველაა. და ამასაც იგივე მრავალი სისუსტე ახასიათებს, რაც ყველა დანარჩენს. ღირსებაც, რა თქმა უნდა. და დღესაქამომდე მოძღვრის როლს ვერ შეჰგუებია. თავდაპირველად, როცა ამ ტყეში ირლანდიის ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც მოძღვრისგან რჩევა-დარიგება სწყუროდათ, ის მზის ტრადიციაზე ელაპარაკებოდა ხოლმე, და ეაჯებოდა, თუ რამ თქვენ გარშემოა, დაინახეთ და შეიცანითო. ღმერთს დიახაც იქა აქვს თავისი სიბრძნე გადამალულ-მიფანიერებული, და ყოველ ადამიანს ძალუძს იმ სიბრძნის ჩაწვდომა, უკეთუ სულ უბრალო ხერხთ მოივარგებსო. ეს არის და ესო. და დასასრულ შეახსენებდა, რომ მზის ტრადიციის შესწავლის ხერხი მოციქულმა ჯერეთ კიდევ ამ ორი ათასი წლის წინათ აღწერა: „და ვიყავი თქვენთან უძლურებაში, შიშში და დიდ ბრძოლაში. და ჩემი სიტყვა და ქადაგება ჩემი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოცხადებით, რათა თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით“.

მაგრამ ადამიანთ თითქოსდა არ შეეძლოთ მზის ტრადიციაზე მოძღვრის მიერ თქმული სიტყვის გაგება და გულგატეხილნი ჩანდნენ იმის გამო, რომ თავიანთ წინარე ჩვეულებრივ კაცს, ადამიანს ხედავდნენ, თავიანთი თავისგან არცთუ მაინცდამაინც განსხვავებულს.

„არა, – ამბობდა ხოლმე ის მაშინ, – მე მოძღვარი ვარ და ჩემს მთავარ საქმედ იმას მივიჩნევ, რომ თითოეულ ადამიანს სიბრძნის მიღწევის თავისი შესაბამისი სახსარი ვაპოვნინო“. მაგრამ ადამიანთ ბევრად უფრო მეტი უნდოდათ და მოძღვარს კი არა, მეგზურს, ეტიკს საჭიროებდნენ. ამ ადამიანთ არ ესმოდათ ღამის წყვდიადის არსი, ვერ ჩამხვდარიყვნენ, რომ ღამის წყვდიადში მოხვედრილი სუყოველი მეგზური თავისი ფარნითა თუ ლიფლიფათი მხოლოდ იმის განათებას მოახერხებდა, რისი დანახვაც თვითონ ენდომებოდა. და უკეთუ უცაბედად, უბედური რამ შემთხვევისა გამო, ის ფარანი თუ ლიფლიფა ჩაუქრებოდა, ვინც კი ადევნებული ჰყავდა, სუყველანი დაიღუპებოდნენ, რამეთუ უკან დასაბრუნებელ გზას ველარასოდეს ვერ იპოვიდნენ.

მაგრამ ადამიანები მაინც მეგზურს ითხოვდნენ. იმას კი, მოგვს, რათა კარგი მოძღვარი გამხდარიყო, სხვათა საჭიროება უნდა დაეკმაყოფილებინა, მაშასადამე, იმ სხვათა მოთხოვნილება უნდა შეესრულებინა.

და მაშინ ის თავის ქადაგებათა ათასგვარი ზედმეტი,




ოღონდ მკვეთრი და მომნუსხველი წვრილმანით აღჭურვას შეუდგა, რათა ყველასთვის ადვილად გაეგებინებინა და შეეთვისებინებინა არსი. და ამ ხერხმა თავისი ნაყოფი გამოიღო. სწავლის მძებნელთ მზის ტრადიცია შეისწავლეს და როს ბოლოსა და ბოლოს აითვისეს კიდეც ბევრი რამ, რასაც მოგვი აკეთებინებდა, იმდენად უაზრო და უსაგნო ეჩვენათ, რომ თვითონვე აიგდეს მასხარად თავიანთი თავი, მოგვი კი დიდად კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან საბოლოოდ ისწავლა სწავლება.

მაგრამ ბრიდა სრულიად სხვა ადამიანი გამოდგა. იმისმა ლოცვამ სულ მთლად აუფორიაქა მოგვს სული. ყმაწვილქალმა მოახერხა იმის გაგება, რომ არც ერთი ადამიანი, ვინც ამ დედამიწაზე დადის, არცრით არ გამოირჩევა და არ განსხვავდება სხვათაგან. ძალიან-ძალიან ცოტა ვინმე თუ გაბედავდა იმის თქმას, რომ გარდასულ საუკუნეთა სუყველა დიდ მოძღვარს მომადლებული ჰქონდა ყველა ის ღირსება და ნაკლი, მიწიერება და სათნოება, რაც ნიშანდობლივია სუყოველი ადამიანისთვის ამქვეყნად, მაგრამ ეს იოტისოდენადაც არ ასუსტებდა იმ გაბედულთა ღვთის მაძიებლობის უნარს. საკუთარი თავის სხვაზე უარესად მიჩნევა გულმძლავრობის, ანუ ცუდმედიდობის ერთ-ერთი მძაფრი გამოვლინებაა, როგორიც კი შეიძლება რომ იყოს, რამეთუ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ყოვლის უფრო დამანგრეველი სახით ავლენს თავის ხაზგასმულ განსაკუთრებულობას.

... ბარში მოგვმა ორი პორცია ვისკი შეუკვეთა.

– შეხედე, ერთი ამათ, – თქვა ბრიდამ, – ესენი, ალბათ, ყოველ საღამოს მოდიან აქ და რაც გუშინ უქნიათ, თუ რასაც ხვალ იზამენ, დღესაც იმასვე შვრებიან.

მოგვს ამწამს ეჭვი შეეპარა, რომ ბრიდა მართლა ისეთადვე მიიჩნევდა თავის თავს, როგორიც ყველა იყო.

– შენ რაღაც მეტისმეტად გაფიქრებენ სხვა ადამიანები,– უთხრა მოგვმა, – არადა ეგენი მხოლოდ შენი ანარეკლნი არიან.

– ვიცი, რახანია უკვე გავარკვიე, რას შეუძლია ჩემი გახარება და რას დანაღვლიანება და ისიც უცებ შევიგენი, რომ საჭიროა ამ ცნებათა შეცვლა. მაგრამ ეს ძნელი ამბავია.

– მაინც რამ გაიძულა შეხედულების გამოცვლა?

– სიყვარულმა. მე ერთი ისეთი კაცი გავიცანი, ვინც მავსებს. ამას წინათ თავის ჩასაიდუმლოებულ სამყაროსაც მაზიარა. ასე რომ ახლა მარტო აღარა ვარ.

მოგვი კვლავინდებურად გულგრილობას ინარჩუნებდა, მაგრამ წამერთ წამოაგონდა, რომ ლოცვა-კურთხევა ხანისად ფანჯრის მინებს გვიმსხვრევს და ისე შემოგვიფრინდება ხოლმე.

– გიყვარს ის კაცი?

– მიყვარს. და თურმე კიდევ ბევრად უფრო ძლიერ შემძლებია სიყვარული. ის კი არა, იმ გზამ, რომელსაც უნდა ავედევნო, ამას იქით რომც არცრა ახალი არა მასწავლოს რა, მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ უკვე მასწავლა: რისკი თუ არ გავწიეთ, ისე არაფერი არ გამოვა.

სანამ ისინი მთიდან ეშვებოდნენ, მოგვმა ფიქრში უჩვეულო რამ წვეულება გამართა: ბრიდასთვის იმის ჩვენება უნდოდა, უშენოდ გინდ ვყოფილვარ, გინდა არაო, მეც ისეთივე კაცი ვარ, როგორიც ყველა სხვა დანარჩენიაო, და მარტოობა მეც ზუსტად ისევე მტანჯავსო. ყმაწვილქალს კი ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის შეკითხვების პასუხს გაიგონებდა კითხულისგან.

– რაღაც უცნაური რამ იგრძნობა ჰაერში, – თქვა მან.

– ეგ მაცნეები არიან, – გამოეხმიანა მოგვი, – დემონები, რომელნიც მამაზეციერს ხელმარცხნივ უდგანან. რომელთაც ნათელთან არ მივყავართ.

მოგვს თვალები უბრწინავდნენ. ირგვლივ მართლაც რაღაც შეიცვალა უცნაურად, ეს კი იდგა და დემონებზე ლაპარაკობდა.

– უფალმა თავისი მარცხენა ხელიდან მთელი ლეგიონი შექმნა, რომელსაც ჩვენი სრულყოფა და ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულების ახსნა-განმარტება დააკისრა, – განაგრძობდა ამასობაში მოგვი, – ოღონდ ადამიანს მან ტვირთიც აჰკიდა – წყვდიადის ძალთა ერთად თავმოყრისა და თავის საკუთარ დემონთა შექმნის ნება დართო.

ის ახლა თვითონ სწორედ ამას საქმიანობდა.

– ჩვენ რა, განა არ შეგვიძლია ნათლისა და სიკეთის ძალთა ერთად თავმოყრა? – ცოტა არ იყოს, შემკრთალმა გაუტრიზავა სიტყვა ყმაწვილქალმა.

– არა, არ შეგვიძლია.

მოგვს გულს მოეფონა, ეამა, რომ ყმაწვილქალი რაღაცას ეკითხებოდა და ფიქრს უფანტავდა, რადგან სულაც არ ედემონებოდა. მზის ტრადიციაში დემონთ მაცნეები ჰქვიათ და როგორც ბევრი სიკეთის, ისე ბევრი სიბოროტის ქმნა ძალუძთ – ოღონდ მარტოოდენ დიდ მოძღვართ ხელეწიფებათ იმათი გრძნებით შეკვრა და გამოხმობა. ის თავად იყო დიდი მოძღვარი, თუმცა ახლა არ უნდოდა ამის ქმნა, რამეთუ მაცნეთა ძალა ფრიად სახიფათო რამ არის, მეტადრე თუ სიყვარულში იმედგაცრუებულ გულთანაა შეზავებული.

მოგვის პასუხმა სულ დააბნია ბრიდა. „ეს რაღაც უცნაურად იქცევა“, – გაიფიქრა ყმაწვილქალმა.

– ჩვენ სიკეთის ერთად თავმოყრა არ ძალგვიძს, – განაგრძობდა მოგვი და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ყურადღება მიექცია თავისი საკუთარი სიტყვებისთვის. – სიკეთის ძალა მუდამ სინათლესავით განიბნევა. როს შენგან სიკეთის ემანაცია გამოიშლება, რაც რამ მაშინ ხდება, ყოველივე მთელ კაცობრიობაზე კეთილმოქმედებს. ხოლო თუ მაცნის ძალას ერთად უყრი თავს, მაშინ მარტო ერთი შენი თავის სასარგებლოდ ანდა საზიანოდ მოქმედებ.

მოგვს თვალებში შუქი ედგა. მებარეს მიუხმო და ანგარიშისდა მიხედვით გადაუხადა.

– ჩემთან წავიდეთ, – შესთავაზა მან, – ჩაი დავლიოთ. თან იმასაც მეტყვი, რა მიგაჩნია შენი ცხოვრების მთავარ საკითხებად.

ბრიდა მერყეობდა. მოგვი მიმზიდველი იყო, სანდომიანი, მარილიანი, სათვალო იყო თვითონ ყმაწვილქალიც. და ამიტომაც ფრთხილობდა, ამ საღამოს ჩემი დამოწაფება ემანდ სულ არ გამიჯულუროს, არ გამინიორწყლოსო.

„რისკი თუ არ გავწიეთ, ისე არაფერი გამოვა“, – გაიმეორა მან გუნებაში.

სახლი, სადაც მოგვი მკვიდრობდა, სოფლიდან არცთუ ძალიან შორს იდგა. ბრიდამ შენიშნა, რომ უიკასასგან განსხვავებული მოგვის ბინა მყუდრო და გემოვნებით მოწყობილი იყო. გაოცებით კი ყმაწვილქალი იმან გააოცა, რომ თვითონ მასპინძლის ოთახში არცრა წიგნი არა ჩანდა და დგამ-ავეჯსაც აქა-იქ თუ მოატანა თვალი.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166.

კალათბურთი

# ახალი ფურცელი ქართული სპორტის მატიანეში




**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ტურნირის გაუვლელად დაუშვეს. სტამბულში ფიბას კონგრესზე მყოფი ბესიკ ლიპარტელიანისგან შევიტყვეთ, რომ კონტინენტის პირველობაზე 16-ის ნაცვლად 24 გუნდის მონაწილეობას ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ყოფილა.**

— იდეა ჩვენ მივაწოდეთ უკრაინისა და იტალიის ფედერაციებს, — აღნიშნა ბესიკ ლიპარტელიანმა. — კოლეგებმა მხარი დაგვიჭირეს. ყველაფერი ჩემპიონატის მასპინძელ ლიტველებზე იყო დამოკიდებული; შეძლებდნენ თუ არა ისინი დამატებით რვა გუნდის მიღებას. ბალტიისპირელებს უარი არ უთქვამთ. ფიბას აღმასრულებელმა კომიტეტმა ხუთსაათიანი დავისა და კამათის შემდეგ ჩვენთვის სასურველი გადაწყვეტილება გამოიტანა. ძალიან გახარებულები ვართ. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს — ეს ქართული სპორტის მატიანეში ახალი ფურცელია. ვეცდებით, ამ შეჯიბრებისთვისაც კარგად მოვემზადოთ და გულშემატკივრები გავახაროთ.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# პირველი დღის ფიასკო



**მოსკოვში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ფალავნებმა შეჯიბრების პირველ დღეს უსუსურად იასპარეზეს. 55 კილოში ლაშა გოგიტაძემ სტარტზე ჩეხ იან პოჩკოსთან იოლად მოიგო, მაგრამ შემდეგ ევროპის 2009 წლის ჩემპიონ ფინელთან — იაჰი იუკა ჰააპამაკოსთან დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან ფინელს ირანელმა ჰამიდ სორიიანმა აჯობა. ეს უკანასკნელი კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.**

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენი გუნდის ღირსებას შარშანდელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მანუჩარ ცხადაია იცავდა. სამწუხაროდ, ვერც მან გაგვიმართლა იმედები: პირველი წრის დამატებით დროში სომეხ არმან ადიკიანთან წააგო. ამ წონაში რუსთა სახელით მოასპარეზე ამბაკო ვაჩაძემ იყოჩაღა — ორგზის ევროპის ჩემპიონმა ფინალში უკრაინელი არმენ ვარდანიანის ძლევით ოქროს მედალი დაიმსახურა.

96 კილოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი რამაზ ნოზაძე სანამ ტრავმებს „იშუშებს“, ნაკრებში მას სოსო ჯაბიძე ჩაენაცვლა. მოსკოვის ხალიჩაზე იგი პირველსავე წრეში ეგვიპტელ მსოფლიოს ჩემპიონ მოჰამედ იბრაჰიმ აბდელფატაჰის შეხვდა და სამრაუნდიან ბრძოლაში 1:2 დამარცხდა.

**ლევსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# მასპინძელთა რჩეულნი

**რუსულ სანტი-მანსიისკში 19-20 სექტემბრიდან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. ამ შეჯიბრებაზე, როგორც**



**გაუწყეთ, საქართველოს ნაკრები გუნდები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან. ქალები — ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი; ვაჟები — ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი და ლევან ფანცულაია.**

მასპინძლები შინ ორ-ორი ნაკრებით იასპარეზებენ (დებულებით, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ამის უფლება აქვთ). **ქალები.** I. ტატიანა კოსინცევა, ნადეჟდა კოსინცევა, ალექსანდრა კოსტენიუკი, ალისა გალიამოვა, ვალენტინა გუნინა, II — ნატალია პოგონინა, ოლგა გირია, ანასტასია სავინა, ანასტასია ბოდნარუკი, ალისა კაშლინსკაია, **ვაჟები.** I. ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ გრიშჩუკი, სერგეი კარიაკინი, პიოტრ სვიდლერი, ვლადიმირ მალახოვი; II. ნიკიტა ვიტიუგოვი, იან ნეპომნიაშჩი, ევგენი ტომაშევსკი, ევგენი ალექსეევი, არტიომ ტიმოფეევი.

**ლაშა დიდია**

ქველმოქმედება



# „ოლიმპიკში“ — უფასოდ

**საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და სპორტის მინისტრის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ პატარებს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე „ოლიმპიკის“ საცურაო აუზში უფასოდ ცურვისა და დასვენების საშუალება მისცეს.** პირველ ეტაპზე 3 თვის განმავლობაში 30 მოზარდი ცურვის უფასო კურსს გაივლის. ამ ფაქტთან დაკავშირებით „ოლიმპიკს“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ისანი-სამგორის რაიონის გამგებელ თემურ გრიგალაშვილთან ერთად ეწვია. „ვფიქრობ, ძალიან კარგ წამოწყებას ვუყრით საფუძველს, — აღნიშნა ლადო ვარძელაშვილმა. — სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები უფასოდ შეისწავლიან ცურვას. პირველ ნაკადს აუზი სამი თვის განმავლობაში მოემსახურება. შემდეგ ამ ნორჩებს სხვა ნაკადი ჩაენაცვლება“.

ჩვენებურები

# დოლონაძე ბატუტს ვერ ელევა

**ქართველი ბატუტზე მხტომელი ანა დოლონაძე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ზაურ სულაშვილის ხელში დაოსტატდა. ჩვენი ქვეყნის სახელით არაერთ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ გასული საუკუნის მიწურულს იგი გერმანიაში გათხოვდა და მას შემდეგ ალემანთა სპორტულ ღირსებას იცავს.** გულშემატკივრებს ემახსოვრებათ მისი ბენეფისი 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. მას მერე კიდევ რამდენჯერმე სცადა ბედი მნიშვნელოვან ტურნირებზე, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია — ყოველთვის ტრავმა უშლიდა ხელს. ერთი პერიოდი აქტიური სპორტისთვის თავის დანებებაც სცადა. ეტყობა, ასე იოლად ვერ ელევა ბატუტს. ამ დღეებში მან ესპანურ ალბასეტეში მსოფლიოს თასის ეტაპზე იასპარეზა და მეწყვილე ბაუმგარტნერთან ერთად სინქრონულ ხტომებში მესამე ადგილი დაიკავა — ჩინელებმა და კანადელებმა გაუსწრეს. ინდივიდუალურ ხტომებში ჩვენებური პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. აქ პირველ-მეორე ადგილებზე ოლიმპიადების მედალოსანი ჩინელები — ჰე ვენა და ჰუან შანშანი გავიდნენ, მესამე ადგილი დიდბრიტანელ სმიტს ერგო.



ინტერნეტიდან

## მარადონას ფეხბურთი მოენატრა



**მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არგენტინის ნაკრების სათავიდან წასული დიეგო მარადონა თუმცა უმუშევარი დარჩა, მაგრამ მაინც უნდა დიდი ფეხბურთით აღნიშნოს თავის 50 წლისთავი 1987 და 1990 წლების პერიოდის „ნაპოლის“ მონაწილეობით, რაც მარადონას თავისი ცხოვრების საუკეთესო დროდ მიაჩნია. მიუხედავად დიდი ვალებისა, რაც სწორედ ამ დროიდან დაუგროვდა, დიეგო მაინც აპირებს იტალიაში ჩასვლას.**

ამხანაგურ საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობას მარადონას დაპირდნენ იტალიელი ჯორდანო და ბრაზილიელი კარეკა, რომლებმაც „ნაპოლში“ შეადგინეს ცნობილი ტრიო „მა-ჯო-კა“.

მართალია, მარადონას იუბილესთან დაკავშირებული ამ მატჩის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა, თუმცა „ნაპოლის“ პრეზიდენტს აურელიო დე ლორენტის ივნისში წამოსცდა, რომ ელოდება დიეგოს.

## წინ ევროპაა

**ხორვატეთის ქალაქ სპლიტში დასრულდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის IAAF საკონტინენტო თასის გათამაშება. მასში ცალ-ცალკე მონაწილეობდნენ ევროპა, ამერიკა, აფრიკა და აზია. პირველი დღის შედეგებით ამერიკა 9 ქულით უსწრებდა ევროპას. მაგრამ მეორე დღეს ევროპა წინ გაიჭრა და გაიმარჯვა კიდეც. საბოლოოდ აი, როგორ დალაგდნენ კონტინენტები. 1. ევროპა — 429 ქულა, 2. ამერიკა — 419,5. 3. აფრიკა — 292. 4. აზია — 286.5.**



რასაკვირველია, ბევრმა სპორტსმენმა ნამდვილად ისახელა თავი. მაგრამ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსები არიან 800 მეტრზე მორბენალი კენიელი მსოფლიოს რეკორდსმენი დევიდ რუდიშა — 1,43.37. ნორვეგიელი შუბის მტყორცნელი ანდრეის ტორკილდსენი — რომელმაც თითქმის 90 მეტრამდე სტყორცნა თავისი იარაღი — 89,26 მეტრი. კვლავ ისახელა თავი სიმაღლეზე მხტომელმა ბლანკა ვლასიჩმა. მან გაამეორა სეზონის საუკეთესო ნახტომი მსოფლიოში — 2,05 მეტრი. თუმცა სარეკორდო 2,10 მეტრი ვეღარ დაძლია.

ამერიკელებმა კვლავ ისახელეს თავი (ქალებმაც და კაცებმაც) ესტაფეტაში 4X400.

## ლიმა მილიონებს ეთამაშება

**თეთრეულის კომპანიის Victoria,s Secret ვარსკვლავი, ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ლიმა მონაწილეობდა შემოდგომისადმი მიძღვნილ ფოტოსესიაში. სარეკლამო გადაღებაში კალათბურთელ მარკო იარიჩის მეუღლემ გამოფინა სპორტისა და საშინაო ტანსაცმელი — პიჟამოები, თეთრეული, აგრეთვე, ფეხსაცმელი, რომლებითაც პაემანზეც წახვალ და სამსახურშიც. თანაც მაკიაჟი თითქმის არ შეიმჩნევა, თმა კი ეფექტურად გაუწეწავს.**



ლიმას თქმით, მან სექსუალურად იგრძნო თავი ქალიშვილ ვალენტინას დაბადების შემდეგ, ანუ შარშან, ნოემბერში. ამას წინათ ლიმა მოხვდა ჟურნალის People რეიტინგში, ყველაზე საუკეთესო ფიგურებიან ადამიანებში.

ლამაზმანი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელია მსოფლიოში. მან შარშან 7 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ის მამაკაცთა მუდმივი ყურადღების ცენტრშია — რომანი ჰქონდა მომღერალ ლენი კრავიცთან, ლიხტენშტეინის პრინც ჰანს-ადამთან და ა.შ.

◉ დაჯილდოება

# შაშკინმა ტაბიძეს 5 ათასი ლარი გადასცა

**ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ერთობ გადატვირთული რეჟიმით მუშაობს. დღე არ გავა, რომ შეხვედრა ან დაჯილდოების ცერემონიალი არ გამართოს...**

ჯერ იყო და დაწყებითი კლასების 110 დამრიგებელს ნოუთბუქები გადასცა კომპიუტერების საბაზისო უნარ-ჩვევებში გავლილი ტრენინგისთვის, შემდეგ თბილისის საჯარო სკოლების 200-მდე მეათეკლასელი მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.. მან, ასევე, დაუზარებლად გაამწესა ქართულ სკოლებში ინგლისური ენის შესასწავლად უცხოეთიდან ჩამოსული პედაგოგები.

შაშკინი ძალას და ენერგიას არ ზოგავს პრეზიდენტის ინიციატივის ხორცშესასხმელად – ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა და კომპიუტერი!

და აი, ამ ფრიად „დაძაბული (ამის გამო მასმედიის კრიტიკა არ მოჰკლებიაძ და გადატვირთული“ დღეების შემდეგ, მინისტრმა წარმატებული მოსწავლეები წაახალისა, ოღონდ, მადლობა ღმერთს, წარმატებული არა კომპიუტერის საბაზისო ცოდნასა და ინგლისური ენის შესწავლაში, არამედ – საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებულები.

დიმიტრი შაშკინმა ფულადი ჯილდოები, საპატიო სიგელები და წიგნები გადასცა: **ცოტნე ტაბიძეს, გრიგოლ ფერაძეს, თეიმურაზ ლოლობერიძესა და ლევან კანკაძეს.**

ქუთაისის ა.რაზმაძის სახელობის № 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ **ცოტნე ტაბიძემ** კანადაში გამართულ ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მინისტრმა მას **5000 ლარი ფულადი პრემია და სიგელი გადასცა.**

თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონ „კომაროვის“ XI კლასის მოსწავლე **გრიგოლ ფერაძე** კი ხორვატიაში გამართული ფიზი-



კის საერთაშორისო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელია. მან **ჯილდოდ 2000 ლარი და სიგელი მიიღო.**

ამავე ოლიმპიადის საპატიო სიგელები მოიპოვეს თბილისის 42-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ **თეიმურაზ ლოლობერიძემ** და თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონ „კომაროვის“ XI კლასის მოსწავლემ **ლევან კანკაძემ.**

დიმიტრი შაშკინმა გამარჯვებულებს სამინისტროში პრაქტიკის გავლა შესთავაზა.

სასიხარულოა, რომ განათლების სფეროში არსებული ვაი-რეფორმების მიუხედავად, ქართველი მოსწავლეები მაინც წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვების ტრადიციას და საპრიზო ადგილებს იკავებენ.

**ნატა ნიბლაძე**

◉ პრესკონფერენცია

# ეროვნული სასწავლო წლის გეგმა ჯერ არ დამტკიცებულა

**ახალი სასწავლო წელი ახლოვდება და თანდათან ახალი პრობლემები, საჩივრები და ათასი წვრილმანი იჩენს თავს. განათლების სამინისტროს რეფორმები საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის მიუღებელია, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როდესაც ამ რეფორმას უამრავი მასწავლებლის გათავისუფლება შეეწირა. უსამსახუროდ დარჩენილებს კი სასამართლოს იმედიც აღარ აქვთ!**

დიმიტრი შაშკინის ბრძანებით, ყველა სკოლაში და უმეტეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა 15 სექტემბერს იწყება. ეროვნული სასწავლო წლის გეგმა კი ჯერაც არ დამტკიცებულა. ამასთან დაკავშირებით მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ განათლების კომიტეტის ხელმძღვანელმა მანანა ნიკოლაიშვილმა პრესკონფერენცია გამართა და სხვა მნიშვნელოვან თემებსაც შეეხო.

მანანა ნიკოლაიშვილის თქმით, უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ცვლილებებია, რის გამოც საზოგადოება აღელვებულია. ნიკოლაიშვილი ხელისუფლებას საყვედურობს, რომ ამის შესახებ კანონები ხელმისაწვდომი არ იყო. მთელი წლის განმავლობაში ამბობდნენ, რომ შემოდის ამ კანონების ავტორიზაცია, თუმცა ისინი პარლამენტში არ განუხილავთ. უმრავლესობამ ეს გადაწყვეტილება რიგგარეშე სხდომაზე ჩუმად მიიღო და აგვისტოს ბოლოს გამოვიდა ეს კანონები, – განმარტა ნიკოლაიშვილმა.

მანანა ნიკოლაიშვილი მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებსაც შეეხო. მან განმარტა, რომ სანდო წყაროებიდან იცის, ბევრ მასწავლებელს სწორად ჰქონდა „შემოხაზული პასუხები და ქულები მაინც დააკლეს, აქ არ იგულისხმება ერთი ან ორ ქულა, არამედ შვიდი-რვა ქულა“, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა. „ასევე, სკოლებში გრძელდება მასწავლებლების შემცირება და მოგიწოდებთ, რომ მასწავლებლები ერთად დადგეთ. მარტო სასამართლოს იმედად ნუ დარჩებით, ბრძოლისა და აქციების გარეშე არავინ იქ არ დაგაბრუნებთ“, – დასძინა მანანა ნიკოლაიშვილმა.

1 სექტემბრიდან საზოგადოებაში, ასევე, დიდი აჟიოტაჟი ატყდა აკრედიტაციაგაუვლელი უნივერსიტეტების შესახებ – ისინი შეიძლება დაიხუროსო. ამის გამო სასწრაფოდ დაიბარეს სტუდენტები და მოსთხოვეს თანხის გადახდა რეგისტრაციის მიზნით. რექტორები კი ამშვიდებენ, რომ ჩვენ აკრედიტაციას მოგვცემენ, თქვენ კი – სახელმწიფო დიპლომებსო... ამ თემას შეეხო მანანა ნიკოლაიშვილი და მანაც იგივე პასუხი გასცა აღელვებულ ხალხს, თუ აკრედიტაციას გაივლიან, ამას რა სჯობს, მაგრამ თუ არა – სტუდენტები სხვადასხვა სასწავლებელში გადანაწილდებიანო...

ახალი სასწავლო წელი კი 15-ში და ზოგან 20 სექტემბერს იწყება. ვნახოთ, რა ბედი ეწევათ ახლად ჩარიცხულ აბიტურიენტებს, პირველკლასელებს და უარეს შემთხვევაში – „გარეთ დარჩენილ“ სტუდენტებს....

**ხატია მუსერიძე**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

**„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვისძ ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტსძ დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად.**

**თქვენი (მომხმარებლისძ მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთანძ, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასძ. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატისძ არჩევა არ ხდება.**

**მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველიძ თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერი გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.**

**თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთანძ ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასითძ, წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისათვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*ძ, შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.**

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:**

ცხრილი № 1

| №<br><br>№ | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.ძ | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.ძ მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | სს „ქუთაისგაზი“ | ქ. ქუთაისი ლომოურის № 2 | 23506 | საყოფაცხ. 16 500 000<br>არასაყოფაცხ. 5 500 000 | საყოფაცხოვრებო 30 619<br>არასაყოფაცხ. 44,3 – 64,7 |

*** – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილება ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.**

**** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდაძ.**

**– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკისძ 2005 წლის 30 დეკემბრის № 30 დადგენილებით.**

**მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. № 26, ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02.**

◉ ნუგზარ მხეიძე – 77

# ძმაკაცი? გყავდეს, რამდენსაც სამეგობროდ გული გასწვდება!



**ჩემი აზრით, 77 წელი არც ერთ „მრგვალ“ თარილზე ნაკლებად მისალოცი არ არის. შვიდი ხომ ბიბლიური, საკრალური რიცხვია. რეპრესირებული მამის შვილმა, იმ „დაწყევლილი“ კომუნისტების პერიოდში მარტოდმარტომ გაიკვლია ცხოვრებაში გზა-კვალი. კაცმა, რომლის ერთადერთი „პროტექცია“, მისი გამზრდელი ბაბუა მაშინდელ თბილისში ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი, უნივერსიტეტის კარისკაცი, ძია მოსე იყო.**

**გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, მაშინ ახალგაზრდა ინჟინერს, თბილისში ბუნებრივი აირის შემოსვლის აღსანიშნავად, პატივი ერგო სიმბოლურად აენთო ჩირაღდანი კრწანისში, 300 არაგველის მემორიალთან.**

**მას შემდეგ აგერ 50 წელიწადზე მეტი გასულა და ნუგზარ მხეიძე თხემით ტერფამდე ქართველი, ნაღდი ქალაქელი კაცი, დღესაც ერთგულად ემსახურება საყვარელი თბილისის გაზმომარაგების საქმეს.**

**რაც მთავარია, „მოხუცი“ ნუგზარ მხეიძე არ ნებდება სიბერეს. დღესაც ახალგაზრდული შემართებით ტრიალებს მრავალრიცხოვან ახლობელ-მეგობართა წრეში, რომელთა ჭირისა და ლხინის უპირველესი გამზიარებელი ყოველთვის იყო და არის.**

**ჭირი ღმერთმა გაშოროს და მრავალჟამიერ, ბატონო ნუგზარ!**

**მრავალჟამიერ შენს ნაგრამთან ერთად!**

**დათო მხეიძე**

# საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი №1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი. მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ს გარეშე თეთრი/კუბ. მეტრი) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | ს.ს„რუსთავგაზი“ | ქ. რუსთავი. დავით გარეჯის №25 | 15-53-55<br>899 10 21 72<br>rustavgaz@mail.ru | საყოფაცხოვრებო 21 500 000<br>არასაყოფაცხოვრებო 8 100 000 | საყოფაცხოვრებო–30.619<br>არასაყოფაცხოვრებო–53.161 - 58.331 |

# განცხადება

**შპს ბიზნეს ცენტრი სასტუმრო რუსთავის დირექტორი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა კრებას შემდეგი დღის წესრიგით:**

1. საზოგადოების მიერ საბანკო დაწესებულებებთან გრძელვადიანი საკრედიტო ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

2. სხვა საორგანიზაციო საკითხები.

**კრება ჩატარდება 2010 წლის 17 სექტემბერს, 12 სთ-ზე. მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 32.**

## დაიჯესტი

### საკუთარი თავის პატივსაცემად



**ბრიტანელმა მოქანდაკემ თავისი სახელობის... ქანდაკება დადგა. ენტონი ჰორმლიმ საკუთარი პერსონის ასი ქანდაკება შექმნა და ეს არტ-ობიექტები მთელ მსოფლიოში დადგა.** ხუთი წლის მოლაპარაკების შედეგად ბოლო, რიგით მეასე ქანდაკება, ავსტრიის ჯარის, მაშველთა კორპუსის ნაწილებისა და ათზე მეტი ვერტმფრენის ძალისხმევით დადგეს. საგულისხმოა ისიც, რომ პროექტის განხორციელება ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

საკუთარი თავის სიყვარული და პატივისცემა სწორედ ამას ჰქვია!

### ურჩხულები ოკეანეში

**დედამიწის მიმდებარე კოსმოსი ადამიანს ოკეანეზე უკეთ რომ აქვს შესწავლილი, ეს მტკიცება დავას არ იწვევს. არადა, ოკეანე – დედამიწაზე სიცოცხლის აკვანია.**

სხვათა შორის, სწორედ ოკეანეში აღმოაჩინეს დედამიწაზე სიცოცხლის ახალი ფორმა ჩვენს დროში. დიდ სიღრმეებზე, ე.წ. „შავი მწეველების“ მახლობლად – ასე უწოდებენ ოკეანის ფსკერზე გეოთერმულ წყაროებს, რომლებიდანაც ქიმიური ელემენტებითა და მინერალებით გაჯერებული ცხელი წყალი დიდი წნევით გადმოედინება – არაჩვეულებრივი არსებები ვესტიმენტიფერები ბინადრობენ. იმ ადგილებში სრული წყვდიადია, ტემპერატურა პლუს 400 გრადუსს აღწევს, ისინი კი ცოცხლობენ! მზე და ჟანგბადი ჩვენთვისაა აუცილებელი, მათ კი ისინი არაფერში სჭირდებათ, რადგან გოგირდით იკვებებიან, აზოტს კი



გამოყოფენ. ანუ ჩვენ ვცოცხლობთ ფოტოსინთეზის ხარჯზე, ისინი ქიმოსინთეზის წყალობით არსებობენ. ამდენად, მილიარდობით წლის შემდეგ, როცა ჩვენი მზე ჩაქრება და დედამიწაზე ყოველივე ცოცხალს ბოლო მოეღება, არაჩვეულებრივმა ფაუნამ, შესაძლოა, ახალ ცივილიზაციას მისცეს დასაბამი!

ანდა ავიღოთ მსოფლიო ოკეანის ყველაზე ღრმა მარიანის ნაპრალი, სადაც ცხრა კილომეტრის სიღრმეზე არანაკლებ იდუმალი არსებები ბინადრობენ, რომლებიც გემებიდან ჩაშვებული ბატისკაფების ტროსებს... კვნეტენ! ეს მოსაზრება მეცნიერებმა მას შემდეგ გამოთქვეს, როცა ვიდეოკამერამ საშინელი ურჩხულების გამოსახულება გადმოსცა, მერე კი სიგნალი უცბად გაქრა!

ისმება კითხვა: რატომაა, რომ ოკეანის წყლის ქიმიური შემადგენლობა ადამიანის სისხლის იდენტურია? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ ოკეანის შვილები ვართ?

ოკეანის კიდევ მრავალი საიდუმლო, მაგალითად, „მფრინავი ჰოლანდიელი“, ბერმუდის სამკუთხედი“, რომლის მსგავსი დედამიწაზე კიდევ არაერთი ადგილია და, რა თქმა უნდა, ატლანტიდა, თავის ამოხსნასა და ამომხსნელებს ელის.

### მცურავი მაიმუნები მშობიარე ბებია...



**მიაჩნიათ, რომ ადამიანის მსგავს მაიმუნებს წყლისა პანიკურად ეშინიათ. კალიფორნიის საფარი-პარკში მცხოვრები ორანგუტანგი სურია, ამ მცდარ აზრს უარყოფს, და „პირად“ მწვრთნელთან ერთად აუზში ყვინთავს და დიდხანს ცურავს.**

უნდა ითქვას, რომ წყალში მცურავი მაიმუნი – ესაა ისეთივე საოცრება, როგორც სამი ტყუპის გამჩენი 66 წლის დედა. ასაკობრივი რეკორდი ცოტა ხნის წინათ ინდოელმა ქალბატონმა ბჰათარი დევიმ „დაამყარა“.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი — 8 სექტემბერი

**ხსენება წმიდა მოწამეთა: ადრიანესი და ნატალიასი და მათთან ერთად 23 მოწამისა.**



ამოდის 05.34
ჩადის 18.23



ამოდის 05.23
ჩადის 18.01

### დაიბადნენ:

**1157 – რიჩარდ I ლომგული,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1199 წელს.

**1474 – ლუდოვიკო არიოსტო,** იტალიელი პოეტი, აღორძინების ხანის უდიდესი წარმომადგენელი, მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ფერარის სასახლის კარზე. წერდა სატირებს ჰორაციუსის მიბაძვით. მისი კომედიებია: „სულების გამომხმობელი“, „მაჭანკალი“, პოემა: „შმაგი ორლანდო“. გარდაიცვალა ფერარში 1533 წელს.

**1804 – ედუარდ მორიკი,** გერმანელი პოეტი. გარდაიცვალა 1875 წელს.

**1812 – ნატალია გონჩაროვა,** პუშკინის ცოლი. გარდაიცვალა 1863 წელს.

**1909 – ვენერა ურუშაძე,** „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1925 – ოთარ ჭელიძე,** პოეტი.

### გარდაიცვალნენ:

**780 – ლეო IV,** ბიზანტიის იმპერატორი. დაიბადა 749 წელს.

**1895 – რიჰარდ შტრაუსი,** გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი. დაიბადა 1837 წელს.

### მოვლენები:

**1380 წელი** – გაიმართა კულიკოვოს ბრძოლა. რუსთა ლაშქარმა დიმიტრი დონელის სარდლობით დაამარცხა მონღოლთა ჯარი.

**1522 წელი** – დასრულდა ფერნანდ მაგელანის პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.

**1795 წელი** – აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში სოლანლული დაიკავა.

**1812 წელი** – ბოროდინოს ბრძოლა.

**1831 წელი** – ვილჰელმ IV დიდი ბრიტანეთის მეფე გახდა.

**1917 წელი** – სიონის ტაძარში ჩატარდა საქართველოს ახლად აღდგენილი ავტოკეფალური ეკლესიის კრება, რომელმაც აირჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, განაწესა ეპისკოპოსები და მოაგვარა სხვა სასულიერო საკითხები (1917 წლის 8-17 სექტემბერიძ.

**1941 წელი** – დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა.

**1943 წელი** – გერმანელებმა იტალიის ოკუპაცია მოახდინეს.

**1952 წელი** – გამოვიდა ერნესტ ჰემინგუეის წიგნი „მოხუცი და ზღვა“.

**1994 წელი** – რუსეთის არმიამ პოლონეთის ტერიტორია დატოვა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე.**
**წიგნიერების საერთაშორისო დღე.**
**ფაშიზმის მსხვერპლთა საერთაშორისო დღე.**
**ავღანეთი** – ეროვნული ასამბლეის დაარსების დღე.
**გვინეა-ბისაუ** – დამოუკიდებლობის დღე.
**ჩრდილოეთი კორეა** – ეროვნული დღე.
**უგანდა** – რესპუბლიკის დღე.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8419 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3654 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8360 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +35 |
| ქუთაისი. | +21 – +32 |
| ბათუმი. | +20 – +25 |
| ზუგდიდი. | +22 – +29 |
| თელავი. | +19 – +33 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

წარწერა საფლავის ქვაზე:
„მარო, აქ ხშირად ნუ დადიხარ, აქ მაინც მომასვენე!“

* * *

ნუცა ლოგინზე წამოწვა, ფეხები ფართოდ გაჩაჩხა და ქმარს ეკითხება:
– მიხო, იცი, რა მინდა?
– რასაკვირველია, ვიცი – გინდა მთელი საწოლი შენ დაიკავო!

* * *

– ექიმო, ოქროს კოვზი გადამეყლაპა!
– როდის მოხდა ეს?
– ორი თვის წინათ...
– რატომ აქამდე არ მომაკითხე?
– ფული არ მჭირდებოდა!



* * *

– რატომ ხარ ასე შეწუხებული?
– მუშაობა, მუშაობა, დილითაც, საღამოსაც, სულ მუშაობა!
– დიდი ხანია, ასე რომ მუშაობ?
– ხვალიდან ვიწყებ!

* * *

ორი სიახლეა. ცუდი – ჩვენთან ყველაფერი ცუდად არის. კარგი – მეზობელთან უარესადაა!

* * *

– ვფიქრობ, დღეს უფრო კარგად ახვევლებთ!
– ექიმო, იცით, მთელი ღამე რამდენი ვივარჯიშე!

* * *

განცხადება:
ვეძებ ქალწულს, ოღონდ არა მსხვერპლად შესაწირად!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.